№ 76 **სახალხო გაზეთი** № 76

პარასკევი, 6 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

შაბათს, 7 აგვისტოს, გარდაცვალების მეორმოცე დღეს, წმიდა გიორგის სასაფლაოს ეკკლესიაში (არქიერის გორა) გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზის

ნესტორ ზაქარიას მის შვანგირამას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე და შვილები განსვენებულისა. წირვა დაიწყება დილის 9½ საათზედ.

## ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები მოსამზადებელ 1, მე-5, მე-6, და მე-7 კლასებში და ხელმეორე გამოცდები გიმნაზიის მოწაფეთა დაიწყება 12 აგვისტოდან და მოხდება გიმნაზიის შენობაში გამოკრულ გამოცდების განაწილების თანახმად. დანარჩენ კლასების მოწაფეთა მიღება არ იქმნება ადგილის უქონლობისა გამო.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით მიიღება 15 აგვისტომდე. (3—6.—1)

ქუთაისის სამეურნეო სკოლის მმართველი აცხადებს, რომ

## ოცდა შვიდ აგვისტოდან
## იწყება
## მისაღები ეგზამენები

მსურველნი ვალდებულნი არიან თხოვნასთან 15 აგვისტომდე წარმოადგინონ მეტრიკული და სწავლა-ყოფაქცევის მოწმობები. (3—6.—1)

რადგან პირველ კრებას წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, ამის გამო

## შავი-ქვის ამხანაგობის კრება

დანიშნულია ხელმეორედ კვირას, 8 აგვისტოს, ქიათურის თეატრში დილის 10 საათზედ. ამ კრებას რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, კანონიერია. (3—3)

მთავრობის საგაჟო ხონის

## პროგიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა მოსამზადებელ, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში დანიშნულია მარიამობისთვის 25, 26, 27, 28 და 31 რიცხვებისათვის. (2—6.—2)



## ქართული საზაფხულო თეატრი

პარასკევს, 6 აგვისტოს,

ბენეფისი გამოჩენილ პოლონელ ფალავანისა

## ს. ს. პეტერსონისა.

ბ. პეტერსონი თავის ბენეფისის დღეს შეასრულებს მრავალს ისეთს ნომერს, რომელიც ჯერ არც ერთს ატლეტს არ შეუსრულებია. ყველგან აღტაცებას იწვევს.

**იჭიდავებენ:**

1. ერთ-ერთი მასკის გამოაშკარავება. ჭიდაობა გადამწყვეტი იქნება. იჭიდავებენ შავი მასკა და წითელი მასკა. 2. პეტერსონი იჭიდავებს 3 მოჭიდავესთან: მახოვთან, მატიუშენკოსთან და რაზინთან. 3. ცნობილი სპორტის მოყვარული ტფილისელი ი. კ. როზი ეჭიდავება კალკაუს. 4. იანოშ ნაჯი მიხელ მაერთან. 5. აპოლონი რეიბერთან. 6. ბერნეკ ადო ვან როტენთან.

ბალში შესვლის ფასი 20 კ. ვინც თეატრში შესასვლელ ბილეთს აიღებს ბალში შესვლელს ფასს არ გადიხდის. **ანონსი:** ამ დღეებში შესდგება ბენეფისი ჩემპიონატის ორგანიზატორის დ. ბ. ეიქენისა. (1—6.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოველდღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ. მკურნ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გოროვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] ხას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**სოზოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—246)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.
**ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—407)

## დ. სარაჩერის
## აკაკი წერეთლის

სახელობაზე დაარსებული უფასო ბიბლიოთეკა სამკითხველოს

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ პარასკევს დილით, ექვსს ამა აგვისტოს, დ. სარაჩერიში გაიმართება

## ლატარია-ალეგრა

ხსენებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ. ფასი ბილეთისა 50 კ. უნივთო ნომერი არ არის. დასაწყისი დილის 10 საათიდან.

(3—365—3) გამგე კნ. ნ. ა. წერეთლისა

გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში

მიიღება ხელის მოწერა

## 5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე
## დავით კლდიაშვილის
## სრულ თხზულებაზე

(ავტორის სურათით).

თხზულება დაიბეჭდება **კარგ ქაღალდზე** ორ ტომად, თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. **ივ. გომართელის და კიტა აბაშიძის** კრიტიკული წერილი. ხელის მომწერთათვის ორივე ტომი ეღირება **ექვსი აბაზი**

5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.

—◀ **ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება** ▶—

აგენტებს ვსთხოვ ფული გზავნონ შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.

უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе. (15—3)

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

## „ალიონი"

ამით იცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ზოგიერთ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.

(0—6.—1) ამხანაგობა „ალიონი"-ს გამგე ვ. გადილია.

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—180

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბამშვილისა (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა**. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—6.—43)

**ექიმი** შ. ა. მიძელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ ტელეფონი N 816.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—119)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ბ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (სასყიდლო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზაღ.—1)

## სამს მანეთს იძლევიან

„ვისრამიანში", ოღონდ სრული და სუფთა წიგნი იყოს. ვისაც აქვს გასაყიდი, წარმოადგინოს „სახალხო გაზეთის" რედაქციაში. (3—1)

**ექიმი** მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში. იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოვისა. (25—გვ.—20)

## შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულონ

## ძმ. ზარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—4 4)

**დაიბეჭდა და იყიდება**

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში

**ბატონ-ყმობა საქართველოში**

ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. ფასი 50 კაპ.

## საქართველოს ისტორია

ს. ქვარიანისა.

ფასი 25 კაპ. (15—ფ.—1)

**ქუთაისის მმართველობის ქალთა**

## გიმნაზია

(ზარების ნაწილში, მეხუთის ქუჩა).

ამით აუწყებს, რომ მისაღები გამოცდები მოსამზადებელი, პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში და ხელმეორე გამოცდები გიმნაზიის მოწაფეთა დაიწყება 21 აგვისტოდან. და მოხდება თანახმად გიმნაზიაში გამოკრულ გამოცდათა მონაწილეობისა. მეშვიდე კლასში უადგილობისა გამო მოწაფეთა მიღება არ იქნება.

თხოვნები, საჭირო დოკუმენტებით მიიღება 19 აგვისტომდე. (3—6.—1)

**ქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კიროჩნის და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69 მარჯვნივ ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

## ტფილისი, 6 აგვისტო

გუშინდელ წერილში ჩვენ სომეხთა ნაციონალურ პოლიტიკაზე ვლაპარაკობდით ქალაქის თვით-მმართველობაში. ჩვენთვის ეს დამტკიცებული ფაქტია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ბრალმდებლებად არ გამოვდივართ. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ ფაქტი აღგვენიშნა და კიდეც აღვნიშნეთ იგი. ეხლა განვიხილოთ მეორე საკითხი, მოიტანა თუ არა რაიმე სარგებლობა სომეხთა ამნაირმა პოლიტიკამ სომხის მასას, ხელი შეუწყო თუ არა სომეხთა ეროვნულ აღორძინებას და კულტურულ ცხოვრების გაცხოველებას. სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მკითხველებისთვისაც ნათელ ვყოთ ჩვენი მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი. სანამ საღავო საკითხი ყოველის მხრით ნათელი არ გახდება, სანამ ბუნდოვანი მხარეები არ ჩამოშორდება, მისი სწორე გადაწყვეტაც შეუძლებელი გახდება.

ჩვენი მოწინააღმდეგეთა აზრი ძალიან მარტივია და გამოიხატება შემდეგში. ბურჟუაზია ყოველთვის მხოლოდ თავის წმინდა ბურჟუაზიულ ინტერესებს იცავს. თუ ხანდისხან ის ნაციონალურ ინტერესებზე ლაპარაკობს, ამას მხოლოდ იმიტომა სჩადის, რომ ერის ყველა კლასები შეაერთოს და ეს შეერთებული ძალა თავის კლასიურ გულის ზრახვათა განსახორციელებლად გამოიყენოს. ბურჟუაზიულ ნაციონალურ მოღვაწეობას ნამდვილად ნაციონალური არაფერი აცხია, რადგანაც ერის უდიდესი ნაწილი, მშრომელი მასსა, არაფერს იგებს ბურჟუაზიის ნაციონალურ მოღვაწეობით. ესევე შეიძლება ითქვას სომხებზედაც. ქალაქის თვითმმართველობაში გაბატონებული ბურჟუაზია ნამდვილად არავითარ ნაციონალურ საქმეს არ აკეთებს. იგი მხოლოდ თავის კლასიურ ინტერესებს იცავს, სომხის ბურჟუაზიის ნაციონალური პოლიტიკა ეროვნული საქმე არ არის, რადგანაც მშრომელი მასსა სომხებისა ამ პოლიტიკით სრულიად არაფერს იგებს. ასეთია მარტივად გამოთქმული აზრი ჩვენი მოწინააღმდეგეებისა სომეხთა ეროვნულ მოღვაწეობის შესახებ.

აზრი მეტად მარტივად არის გამოთქმული, თვით ჩვენს მოპირდაპირეებსაც ასე მარტივადა აქვთ წარმოდგენილი საქმის ვითარება, მაგრამ ეს სიმარტივე სათანადო გარკვეულობას არ აძლევს საკითხს. შეიძლება ადამიანმა აზრი მარტივად გამოსთქვას, მაგრამ საკითხის არსებითი მხარე კი მაინც გამოურკვეველი დარჩეს. ამ შემთხვევაშიაც ჩვენს მოწინააღმდეგეთ ასე ემართებათ. უპირველეს ყოვლისა უნდა გამოირკვეს, რაში გამოიხატება ეროვნული ცხოვრება და როგორ შეუძლიან ბურჟუაზიას ეროვნულ ცხოვრების აღორძინებას ხელი შეუწყოს. ვეცდებით, ჩვენი წერილების პირდაპირ აზრის გარკვევამდე, ჯერ ეს ორი საკითხი გავარკვიოთ მოკლედ. ეროვნულ ცხოვრების უმთავრეს მხარეს მისი კულტურა შეადგენს, კულტურა სულიერი და მატერიალური. ერი ეროვნულად მაშინ არის დაწინაურებული, როდესაც მისი სულიერი და მატერიალური კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზე სდგას. ეროვნულია ყოველივე საქმე, რომელიც ერს წინ სწევს კულტურულად, რომელიც ანვითარებს მის მატერიალურ და სულიერ კულტურას. თქმა არ უნდა, ერის კულტურული დაწინაურება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მასსა იღებს მასში მონაწილეობას. ეს, თუ გნებავთ, თავის თავად იგულისხმება. ერი თავის დღეში არ ჩაითვლება კულტურულ ერად, თუ მასსა არ ვითარდება, თუ მასსა არა ხდება კულტურის მოზიარედ. ამასთანავე ერთად კულტურული ზრდა ყოველთვის ეროვნულ ფარგლებში სწარმოებს. ესეც ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც დამტკიცება არა სჭირია. რუსეთის ხელოვნების, მწერლობის, მეცნიერების, ტეხნიკის განვითარება თავის თავად ქართველ ერს კულტურულ ერად ვერ გახდის. უნდა განვითარდეს ქართული ხელოვნება, ქართული მწერლობა, მეცნიერება უნდა ქართულ ნიადაგზე აღმოცენდეს, ე. ი. ის, რაც ევროპამ შეიძინა, ქართველებმაც უნდა შეიძინონ. ყველაფერი ეს საერთოდ შექმნის ქართულ ეროვნულ კულტურას. პირდაპირ სათაკილოდ მიგვაჩნია ასეთს საანბანო ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი, მაგრამ რას იზამ, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებთან ისე გვიხდება ლაპარაკი, როგორც ბავშვებთან.

მატერიალური და სულიერი მხარეები კულტურისა მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ეკონომიურად გაღატაკებული, უკან ჩამორჩენილი ერი სულიერ კულტურასაც ვერ განავითარებს. თავის წილად, თუ ერს სულიერი კულტურა არა აქვს განვითარებული, იგი კულტურულ ერად ვერ ჩაითვლება.

როგორ შეუძლიან ბურჟუაზიას ხელი შეუწყოს ეროვნული ცხოვრებას? ამ საკითხშიაც ჩვენი იდეიური მოპირდაპირენი სრულს გაუგებრობას იჩენენ და საკითხს ისე სვამენ, როგორც არ შეიძლება რომ დაისვას. გვეუბნებიან ხოლმე, ბურჟუაზია მხოლოდ თავის კლასიურ ინტერესებზე ფიქრობსო. სრული ჭეშმარიტებაა. კაპიტალისტებიც მხოლოდ თავის საკუთარ ინტერესებზე ზრუნავენ. როდესაც კაპიტალისტები ანვითარებენ თავიანთ წარმოებას, თავს უყრიან ცენტრებში აუარებელ მუშებს, განა მაშინ ისინი იმას ფიქრობენ, რომ ეს მუშები თავის შეკავშირებულის ძალით საბოლოოდ თვით მათ მოუღებენ ბოლოს? კაპიტალისტები თავიანთ კლასიურ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ამით მრავალი სხვა საქმეც კეთდება. კულტურულ მიზნებს კაპიტალისტები თავის დღეში არ ისახავდნენ, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება კი კულტურის განვითარებასაც უწყობდა ხელს...

სომხის ბურჟუაზია კიდეც რომ არა ფიქრობდეს ეროვნულ ინტერესებზე, მაინც მისი გაძლიერება სომეხთა ეროვნულ ცხოვრების გაცხოველებასაც იწვევს. ვაჭრობა-მრეწველობა ჰქმნის სიმდიდრეს; ერში ფული ტრიალებდა, ამით თვით ხალხიც სარგებლობს, ეკონომიურად მოღონიერებულ ხალხს კულტურული მოთხოვნილებები ეზრდება კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდა იწვევს კულტურულ დაწესებულებათა ზდასაც. ეკონომიურად მოღონიერებულ ხალხს უფრო ადვილად შეუძლიან გაზეთის გამოწერა, თეატრში სიარული; ყველა ეს აფართოვებს მის სულიერ ცხოვრებას, უფრო შინაარსიანადა და შეგნებულადა ჰხდის. სომხის ბურჟუაზია კი-

დეც რომ არა ფიქრობდეს ამაზე, მის გაძლიერებას ლოღიკურად უთუოდ ერის კულტურული ზრდაც მოსდევს. სულ სხვა ხასიათს იღებს საქმე, როდესაც შეგნებული ნაწილი ბურჟუაზიისა ეროვნულ მიზნებსაც ისახავს შეგნებულად, მაშინ შედეგებიც ერთად იზრდება და უფრო თვალსაჩინო ხდება. წინა წერილში ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ქალაქის თვით-მმართველობაში გამეფებული ბურჟუაზიული ნაწილი სომხებისა შეგნებულად ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებენ. არა გვგონია ამის წინაალმდეგი ვინმე გაგვიხდეს. დასამტკიცებელია, რამდენად ხელსაყრელია ასეთი პოლიტიკა სომხებისა სომხის მასსისათვის.

ქალაქის თვით-მმართველობა მარტო ბურჟუაზის სათარეშო მოედანი არ არის. ქალაქის თვითმმართველიბას ქონებით საზრდოობს და სსცხოვრობს არა მარტო „ბურჟუაზიული ინტელეგენცია", არამედ ნაწილი იმ მასისა, რომელმაც ადგილი იპოვა ქალაქის თვითმართველობაში. რამდენად დიდ-მნიშვნელოვანია ქალაქის ცხოვრების ეს მხარე, ამის შემდეგს მაგალითიდანაც დავინახავთ. ავიღოთ ამიერ-კავკასიის რკინის გზა მართალია ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას ძალიან არ ესიამოვნება, მაგრამ ძალა უნებურად მუშათა კონტიგენტს ადგილობრივ მკვიდრთაგან ავსებს. ეს ადგილობრივნი მკვიდრნი კი უმეტეს შემთხვევაში ქართველები არიან ხოლმე. დღითი-დღე იზრდება ქართველ მუშათა რიცხვი. მიერ-კავკასიის სახელოსნოებში. აუარებელი ქართველი, სოფლის სიღარიბით შევიწროვებული, ქალაქში ჩამოდის და აქა შოულობს საარსებო ლუკმაპურს. ეგრედ წოდებული „რემონტის" მუშები, დეპოში მოსამსახურენი, კონდუქტორები და მრავალნი სხვანი. წარმოვიდგინოთ გამგებლობა ამ რკინის გზებისა სომხებს აბარიათ, და ისინიც სომხურ ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ. მაშინ ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად ყველა სახელოსნოები სომხებით გაივსებოდა, როგორც ქალაქის თვითმმართველობაში ხდება. თქმა არ უნდა, ამით ქართველ მშრომელ მასას საარსებო ლუკმაპური მოაკლდებოდა და სომხებს კი გაუჩნდებოდათ. ეკონომიურად მოღონიერებული სომხის მუშები უეჭველია სომეხთა ეროვნულ კულტურის გაძლიერებაც ხელს შეუწყობს.

ასეა ცხოვრების ყველა დარგში, ქალაქის თვით-მმართველობის ცხოვრებაშიაც ესევე ხდება, მხოლოდ ამას დანახვა უნდა. თუ შაბლონური ფრაზებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ, რასაკვირველია, ვერაფერს დავინახავთ, თუ იმისი შეგვეშინდება, ნაციონილისტობა არ დაგვწამონო, მაშინაც ვერაფერს გავხდებით. თუ ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ წლებს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ სომხის სწორეთ მშრომელ ნაწილს ეჩნევა ეროვნული დაწინაურება. ეს კი გამოწვია მხოლოდ იმან, რომ სომხები ყველგან და ყოველთვის ეროვნულ ინტერესებს იცავენ.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.

5 აგვისტო.

## საზღვარ-გარეთ

**ბილბაო.** ჯოხებითა და რევოლვერებით შეიარაღებულნი გაფიცული მუშები მაღაროების წინ დგანან და სამუშაოდ არ უშვებენ იმ ამხანაგთ, რომელთაც უნდათ იმუშაონ, ქვებს უშენენ იმ მატარებლებს, რომელსაც მუშები მოჰყავს

**ტარიფა.** ისპანიისა და გერმანიის გემების დაჯახების დროს დაიღუპა 35 კაცი, გადაარჩინეს 65 კაცი.

**სტამბოლი.** სალონიკში ხალხმა განურჩევლად ეროვნებისა გამართულ მიტინგზე პროტესტი განაცხადა მაკედონიაში რაზმების მოქმედების წინაალმდეგ.

**მადრიდი.** მთავრობამ აკრძალა ერთსა და იმავე დროს 15 აგვისტოსთვის კატლონიაში დანიშნულ კრებები პარლისტობისა და რესპუბლიკელებისა.

**კოლი.** ნაღმოსნები № 76 და 32 დაეჯახნენ და ჩაიძირნენ. უფროსები გადაარჩინეს.

**თეირანი.** შირაზის გუბერნატორად დაინიშნა პრინცი აინულ დოული, მთავრობა შეუდგა თეირანის ახლო-მახლო ადგილებში — მომხდარ აჯანყების ჩაქრობას. ხარეში აჯანყდა კუსამლუ ტომის უფროსი რეშიდ სულთანი. გაიგზავნა ცხენოსანთა რაზმი ზარბაზნებით. იჰპაგანის გუბერნატორს ებრძანა, გაგზავნოს რაზმი კარშონში ყაჩაღ ნაიბ-ხოსეინის წინაალმდეგ. რუსეთის საელჩოს წინადადებით სპარსეთის მთავრობამ გაანთავისუფლა დაპატიმრებული ფიდაი, რუსეთის ქვეშევრდომი ნოუროზოვი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ათაბეგის ტყეში მომხდარ აჯანყებაში. სპარსეთის მთავრობა თავისებურად ხსნიდა ტურკმენჩაის შეთანხმების მუხლს და უარს ამბობდა რუსეთის ქვეშევრდომის გაცემაზე, მაგრამ საელჩოს დაჟინებით მოთხოვნა ალასრულა.

**ვენა.** მარიენბადში ხაკი-ფაშა და ერენტალი შეხვდნენ ერთმანეთს. ამის გამო „ფრენდებლატი" სწერს: ორივე მინისტრებმა ერთი მეორეს გაუზიარეს აზრები იმ მთავარ საკითხებზე, რომელიც დღეს პირველ რიგშია წამოყენებული. ოსმალეთსა და ავსტრო-ჰუნგრეთს შუა მშვენიერი დამოკიდებულება სუფევს. ამიტომაც მინისტრების საუბარს გულწრფელობა ეტყობოდა.

**ბრემენი.** 3 აგვისტოს მოსული ჩილის რესპუბლიკის პრეზიდენტი პედრო მონტი გარდაიცვალა გულის სიდამბლისა გამო.

**ცეტინიე.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და გარეშე საქმეთა მინისტრმა ტომანოვიჩმა უთხრა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს, დიდიხანია ხალხში მომწიფდა გადაწყვეტილება ჩერნოგორიის სამთავროს სამეფოდ გამოცხადებისა. ეს გადაწყვეტილება დამყარებულია ქვეყნის ისტორიულ უფლებებზე, დროს მოთხოვნილებაზე, სამთავრო სახლის სამსახურზე და იმ ხალხის კულტურაზე, რომელსაც არას დროს არ დაუკარგავს თავისუფლება.

### ჰაერში ფრენა.

**ამიენი.** ავიატორი მუაზანი ლონდონისაკენ გაფრინდა 5 საათსა და 15 წუთზე. მუაზანს განზრახვა ჰქონდა გაევლო აღმოსავლეთ საფრანგეთზე და ძირს არ დაშვებულიყო დანიშნულ ადგილამდე. ლებლანი აფრინდა 5 საათსა და 3 წუთზე. პორუჩიკი ლეტე 5 საათ, და 7 წ., ობრიენი 5 ს. და 10 წ., ლეგანიე 5 ს. და 13 წ. ლებლანი მიფრინდა პარიზში 6 ს. 50 წუთზე, და ხალხი ოვაციებით მიეგება, ობრონი მიფრინდა 7 საათ. და 4 წუთზე, ლებლანი და ობრენი მეტად მაღლა იყვნენ ფრენის დროს. გაჯიბრებას დაესწრო სამხედრო მინისტრი დილით რამდენიმე აფიცერი კიდევ აფრინდა.

**ფრანკფურტი მაინზე.** ავიატორი ტელენი გარისონთა ერთად აფრინდა 5 საათსა და 44 წუთზე. ტელენი მანელისაკენ მიემართებოდა. 6 საათსა და 25 წუთს ავიატორები მიფრინდნენ მაინელის ქვევით, შემდეგ ცილინდრის გაფუჭების გამო დაეშვნენ ძირს გახტსგეიმში. და ავტომობილებით ფრანკფურტში უკან დაბრუნდნენ.

**კალე.** ავიატორი მუაზანი ჩამოფრინდა 10 საათსა და 30 წუთზე, და შემდეგ გაემართა ლინანისკენ. 2 საათზე დუვრის ზევით მიფრინავდა და იქიდან რკინის გზის ლიანდაგის დასწვრივ მიფრინავს.

**ამიენი.** პორუჩიკი ამუნი 1 საათის ფრენის შემდეგ მშვიდობიანად დაბრუნდა. ლონდონისაკენ გამგზავრებული ლატმი 7 საათზე და 30 წუთზე ლაფალეზში დაეშვა ძირს ბენზინის შემოლევის გამო. დღეს კვლავ განაგრძო ფრენა და 6 საათსა და 10 წუთზე ამიენში დაეჯახა ხეს. ჰაეროპლანი დაიმსხვრა, ლატმი უვნებელია.

**პეტერბურგი.** სრულიად სუსეთის საიმპერატორო ჰაეროკლუბმა დაამტკიცა პროგრამა ჰაერში ფრენის სრულიად რუსეთის დღესასწაულისა. დღესასწაული დანიშნულია სექტემბერში. უკვე 40 ათასი მანეთის პრიზებია. გაჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ დირიჟაბლები, ჰაეროპლანები და სხვა. ჰაეროპლანებით შეჯიბრება იქნება ორ გვარი. პროფესიონალებისა და მოყვარეთა. ჰაერში საფრენ პარკის ორი აფიცერიც და ჰაეროკლუბის წევრნი მოყვარულთა რიცხვში არიან ჩარიცხულნი; აფიცრებმა დანიშნეს ერთმანეთში 1,400 მან., პრიზი, ვინც კარგად ისვრის ყუმბარებს ასი საჟენის სიმაღლიდან. გატჩინის ჰაეროდრომზე პორუჩიკი გარშკოვი მშვიდობით აფრინდა 3 წუთით. მეორედ რომ სცადა აფრენა მგზავრითურთ, პროპელერს ქვეშ მოჰყვა ძაღლი; ძაღლი შუაზედ გასჭრა, პროპელერი დაიმსხვრა, ნატეხები მაყურებელთ მოჰხვდა. იგივე ამბავი დაემართა ლებედევს, რაც იგი სრულიად რუსეთის ჰაერო კლუბის ჰაეროპლანით აპირობდა აფრენას.

## რ უ ს ე თ ი

**კიევი.** შულიავის ეკლესიაში ბოროტ-მოქმედებმა გასტეხეს კლიტეები და წაიღეს სანთლის ნავაჭრი 101 მანეთი, სამსხვერპლოს ყუთი, ზოგიერთ ხატებს თვლები ჩამოხსნეს.

**ნოვოჩერკასკი.** სოფ. დანილოვკაში გადაიწვა 36 შენობა, დაიღუპა ბავშვი. გლეხები უკიდურეს გაჭირებას განიცდიან.

**ტიუმენი.** სოფ. მალკოვის მახლობლად 2 აგვისტოს ღამე ეძებდნენ ივნისში გამოქცეულს 4 კატორღელს, რომელთაც მოეკლათ ორი თანამხლებელი დარაჯი; ორი მათგანი შეიპყრეს, ორი გაიქცა; სროლის დროს დაიჭრა ერთი კატორღელი და ერთიც ჯარის კაცი.

**ვოლოგდა.** მოსავალს კარგი პირი უჩანს. მაისის სიგრილემ ცოტა დააზარალა ნათესულობა, მეტადრე ახალი თესლი. წინათ უწვიმობამ შეაწუხა, ეხლა კი ამინდი შესაფერია. ტოტემის მაზრაში ვსილას კაი პირი უჩანს, ნიკოლსკისაში ბევრი ვერაფერია. ახალ-თესლი კარგია. ვოლოგდის სამაზრო ერობის აგრონომების მიერ გამართულმა საუბარმა გლეხებთან ძალიან დააინტერესა ხალხი; საუბარი ჰქონდათ საბალახეების გაუმჯობესობაზე, ამასთანავე აჩვენებდნენ უვაროვის საბალახე ფარცხს.

**ხარბინი.** სუნგარი მოდიდებულია, წყალმა ზევით აიწია და ამჟამად ჩვეულებრივზე ორი არშინით ზევითა დგას. მარცხენა ნაპირი ხარბინის პირდაპირ, ციციკარის მიმართულებისაკენ ათი ვერსის სივრცეზე წყლითაა დაფარული. ყველა სახლები, ციხე-კოშკები, შენობები წყალს ქვეშაა ჩამალული. მარჯვენა ნაპირი, რომელზედაც გამართულია ნავთსადგური და გაშენებულია ხარბინი
სავაჭრო ნაწილი თავის წისქვილებით
საწყობებით, სავაჭროებით, ბანკე
ბით და ქალაქის მმართველობით თ
აქნობამდე წყალს ქვეშ არ არის
ისევ დამბის წყალობით, რომელი
წყალს ზევით ნახევარ არშინითაა
თორემ ეს ადგილი ერთი არშინი
ქვევით არის მოდიდებულ წყლი
პირიდან. წყალს ძლივს იმაგრებ
დამბა; წყალი რომ გადმოვარდე
უწინარეს ყოვლისა ვაოხრებს რკი
ნის გზის მთავარ სახელოსნოებ
და მარჯვენა ნაპირს. ჩინელთა ქა
ლაქზე მობმულ ფიციადენი უმეტეს
წილი წყალს ქვეშაა. ქალაქის საბ
ჭომ წინადადება მისცა თვითმმარ
თველობის რწმუნებულთა კრება
გადასდოს ასი ათასი მანეთი დამბ
ასამაღლებლად და სხვა საჭიროებ
სათვის.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** იარმუკ
რწმუნებულთა კრებაში, რომელსა
გუბერნატორი თავმჯდომარეობ
უეცრად გარდაიცვალა თავმჯდო
მარე საიარმუკო კომიტეტისა კალ
შნიკოვი.

**ყაზანი.** ისტორიის პროფესორ
პისკორსკი სოფ. ვასილევში, რო
ცა იგი აგარაკის მახლობლად სეირ
ნობდა გაჭყლიტა საქონლის მატ
რებელმა.

**პეტერბურგი.** თანახმად ფინანს
თა მინისტრის მოხსენებისა უმაღ
ლესად ნაბრძანებია გამოიცეს 5
მილიონ მანეთის სერია 5 პროცენ
ტიან სარგებლიან მოწმობებისა ს
გლეხო სამდგილ-მამულო ბანკის

**პეტერბურგი.** უმაღლესად და
ტკიცებულია დებულება, რომლ
თაც განისაზღვრება თუ რა ხან
იქით აღარ შეუძლიანთ სამსახურ
მოსამზადებლო დარაჯთა კორპუსშ
გენერლებს, შტაბ და ობერ აფ
ცრებს, საექიმო, საბეითლო
საფარმაცევტო მოხელეთ.

უმაღლესად დამტკიცებულ
პროექტი მექანდაკე გინზბურგის
რომელიც პოლტავის გუბ. ქალ
სოროჩინცაში უნდა დადგან მწერა
გოგოლის ძეგლად.

საექიმო საბჭომ დაადგინა, რო
არა ღირს პეტერბურგში სწავლ
დაწყების გადადება, რადგან მო
წავლეთა მოვლა, და ყურის გდე

# ხოლერა და მასთან ბრძოლა

(დასასრული *)

წინა წერილში რამდენიმე მაგალითი მოვიყვანე იმისი, თუ რამდენად სუსტი არის ხოლერის ვიბრიონი, როგორ ვერ უძლებს ის ვერც დიდ ტემპერატურას, ვერც გახმობას, ვერც მზის სხივებს. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ვიბრიონები ქიშპობას ვერ უწევენ სხვა მიკრობებს და მალე იხოცებიან. ცნობილია, რომ ბუნებაში მრავალი სხვა და სხვა გვარი მიკრობია და მათ ხშირად ერთად უხვდებათ ცხოვრება. ბევრს მათგანს შეუძლიანთ ერთად ცხოვრება, ისინი ერთმანეთს არავითარ ზიანს არ აყენებენ, თავისუფლად იკვებებიან და მრავლდებიან. ასეთს მოვლენას მიკრობების სიმბიოზს უწოდებენ. ზოგიერთ შემთხვევაში კი ერთგვარი მიკრობები უფრო მსწრაფლად მრავლდებიან, უფრო არიან შეჩვეულნი ნიადაგს და საკვებს და მასალას, ვიდრე მეორენი, და ამის გამო თან და თან იხოცებიან. ასეთ მოვლენას უწოდებენ მიკრობების ანტაგონიზმს ანუ კონკურენციას (ქიშპობას). როგორც სიმბიოზს, აგრეთვე მიკრობების ანტაგონიზმს დიდი ადგილი აქვს ბუნებაში და თვით ადამიანის სხეულშიდაც. გარდა ისეთ მიკრობებისა, რომელნიც სხვა და სხვა გვარ სნეულებას იწვევენ, ბუნებაში მრავალი უვნებელი მიკრობია—წყალში, ნიადაგში, საჭმელ-სასმელში, ადამიანის სხეულშიც. მათთან კონკურენციას ვერ ეწევიან მავნე მიკრობები და ხშირად კიდეც იხოცებიან. სახელგანთქმულმა რუსის მეცნიერმა მეჩნიკოვმა დაამტკიცა, რომ იმ მიკრობებში, რომელნიც ჩვენს ნაწლევებში სცხოვრობენ, არიან ისეთები, რომელნიც ხელს უწყობენ ხოლერის ვიბრიონების გამრავლებას, არიან ისეთებიც, რომელნიც, პირიქით, სპობენ მათ. ამით აიხსნება, მეჩნიკოვის აზრით სხვათა შორის, ის მოვლენა, რომ ზოგიერთები არ ხდებიან ხოლერით ავად: მათ ნაწლევებში ჰყავთ ისეთი მიკრობები, რომელთანაც კონკურენციას ხოლერის ვიბრიონები ვერ ეწევიან.

წყალში მრავალი სხვა და სხვა გვარი მიკრობია და ამიტომ იქ ადგილი აქვს მიკრობების კონკურენციას. ამიტომ აუდუღარ წყალში ხოლერის ვიბრიონები მხოლოდ რამდენიმე დღეს სცოცხლობენ. თუმცა მდინარეში ზოგიერთ შემთხვევაში 80 დღემდის შეუძლიანთ იცოცხლონ. წყლის გადადუღების დროს იხოცებიან როგორც ვიბრიონები, აგრეთვე დღეს მიკრობებიც, მავნენი და უვნებელნი.

მაგრამ შემდეგ თუ ასეთ ნადუღ წყალში ცოცხალი ვიბრიონები რაიმენაირად მოჰყვნენ, შეუძლიანთ იქ 30 დღემდის იცოცხლონ, ვინაიდან მათ არ გაუწევენ ქიშპობას სხვა მიკრობები, რომელნიც წყლის გადადუღების დროს დაიხოცნენ. ამავე მიზეზით აუდუღარ რძეში ვიბრიონები სძლებენ მხოლოდ 3—6 დღეს, ნადუღში კი 10 დღეზე მეტს.

საინტერესოა, თუ რამდენ ხანს სცოცხლობენ ხოლერის ვიბრიონები სხვა და სხვაგვარ სანოვაგეზე. მოვიყვან ზოგიერთ მაგალითებს:

| | |
|---|---|
| მწვანილეულობაზე ვიბრიონები სცოცხლობენ . . . | 48 საათს; |
| ბაც ჩაიში . . . . | 8 დღეს; |
| მუქ ჩაიში მხოლოდ . | 1 საათს; |
| ყავაში . . . . | 2 საათს; |
| რძიან ყავაში . . . | 8 საათს; |
| კარაქზე . . . . . . | 32 დღეს; |
| ლუდში . . . . . | 3 საათს; |
| ღვინოში კი მხოლოდ . | 1/2 საათს |

საშინლად სწყენთ ვიბრიონებს სიმჟავეები. მაგალითად, 1% კარბოლის სიმჟავე ხოცავს ვიბრიონებს — 5 წუთის განმავლობაში. გოგირდის და მარილის სიმჟავენი კი, ათი-ათასჯერაც გახსნილნი წყალში ხოცავენ, ვიბრიონებს რამდენიმე წამში.

გადავიდეთ ეხლა იმაზე, თუ რა ზომები უნდა მივიღოთ, რომ ხოლერა არ გაჩნდეს ამა თუ იმ ადგილზე.

ხოლერის ეპიდემიას შეუძლიან ძლიერ განვითარდეს მხოლოდ ისეთ ადგილას, სადაც სანიტარული მდგომარეობა ადგილისა ცუდია, სადაც მცხოვრებლები ნივთიერად ღარიბნი არიან და გონებრივად ჟუნათლებელნი. ამას დამტკიცება არ სჭირია. ინგლისმა არ იცის ხოლერა, მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი, სადაც ხოლერა მუდმივ მძვინვარებს, ინგლისს ეკუთვნის და ამ ქვეყნიდან აუარებელ რიცხვს გემებისას გააქვთ სხვა და სხვაგვარი საქონელი ინგლისში. ძლიერ ძვირია ხოლერა საფრანგეთში და გერმანიაშიაც და ამავე დროს კი მძვინვარებს რუსეთში, სადაც ხალხის კულტურა ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე სდგას და სადაც პირდაპირ აუტანელი სანიტარული და ეკონომიური პირობებია.

დასახლებულ ადგილთა სისუფთავეზე ზრუნვა, მათი სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრი მაშინ კი არ არის საჭირო, როდესაც ხოლერა უკვე გჩნდა ამ ადგილზე, არამედ ბევრად უფრო წინად, ვიდრე ხოლერა გაჩნდებოდეს. ამით ხოლერას საშუალება ეყობა ფეხი მოიკიდოს ასეთ ადგილზე. სადაც ნიადაგში მრავალი გახრწნილი და დამპალი ნივთიერება მოიპოვება, იქ ხოლერის ვიბრიონები ადგილად იშოვნიან საკვებს და გამრავლდებიან კიდეც.

ხოლერის გაჩენის შემდეგ ყოველმა ადამიანმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს თავის თავს, გაუფრთხილდეს სნეულებას, რათა არც თვითონ დაიღუპოს და არც თავისი ავად გახდომის გამო სხვას არ შეჰყაროს ეს საშინელი სნეულება. ამისათვის მან უნდა იცოდეს, თუ როგორ მოუაროს თავს ხოლერობის დროს.

ადამიანის ორგანიზმი უკვე ბუნებით არის დაჯილდოვებული საშუალებით თავის უჩინარ მტრებთან (მიკრობებთან) საბრძოლველად, და ვიდრე ადამიანი კარგად არის, ვიდრე მისი სხეულის ნორმალური განწყობილება არ არის დარღვეული, მას დიდი შიში არ უნდა ჰქონდეს სნეულების, ვინაიდან ის შედარებით დაცული არის მიკრობების მავნე გავლენისაგან, მაგრამ როგორც კი ადამიანი ავად ხდება, როგორც კი მისი სხეულის ორგანოების ნორმალური განწყობილება და მდგომარეობა ირღვევა, მისი საბრძოლველი იარაღიც სუსტდება, და ამიტომ მიკრობებიც უფრო ადვილად პოულობენ ადამიანთა სხეულში განვითარების გამრავლებისა და გამაგრების. საშუალებას ამიტომაც ჩვენ უნდა ვეცადოთ ხოლერობის დროს დავიცვათ ჩვენი სიმრთელე, თავი არ გავიციოთ, არა დავიღალოთ და არ დავისუსტოთ.

ყველაზედ უფრო დიდი ყურადღება კი უნდა მივაქციოთ ჩვენ კუჭს, რომელშიდაც უწინარეს ყოვლისა უნდა ჩავიდეს ხოლერის ვიბრიონი, ვინაიდან მას სხვა გზა არა აქვს. ადამიანის კუჭში ყოველთვის არის მარილის სიმჟავე, და ეს სიმჟავე კი როგორც ჩვენ უკვე ვიცით ძლიერ სწყენს ხოლერის ვიბრიონებს და ერთი ათასჯერაც გახსნილი წყალში ჰკლავს ხოლმე მათ. თუ კუჭი ავადაა მაშინ მასში მარილის სიმჟავე ძლიერ კლებულობს ან და შესაძლებელია სრულიადაც არ იქნეს. ამიტომ ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს კუჭს. არ ვარგა რადგან არც გადამეტებული ჭამა საჭმელისა, კუჭი ვერ მოინელებს საჭმელს და ამის გამო იშლება, არ ვარგა აგრეთვე არც შიმშილობა, ვინაიდან შიმშილობის დროს ადამიანის კუჭში ძლიერ ცოტა მარილის სიმჟავეა. მაგრამ შემცდარია ის აზრიც თითქოს ხანგრძლივი ხმარება ხელოვნურ მარილის სიმჟავისა მარგებელი იყოს ადამიანისათვის ხოლერობის დროს. ეხლა თითქმის ყველა დაატარებს მას ჯიბით და წამ-და-უწუმ სვამს ხოლმე მას იმ იმედით, რომ ხოლერა არ დაემართება. მაგრამ ამით ისინი კიდევ უფრო იფუჭებენ საქმეს. ხანგრძლივი მიღება მარილის სიმჟავისა, როდესაც ის კუჭისათვის სრულიად საჭირო არ არის, მოხდენის მაგივრად კიდევ უფრო სწყენს კუჭს შლის მას და მით კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევს ვიბრიონებს ჩვენ სხეულში შევიდნენ და დამკვიდრდნენ. ძლიერი გაფრთხილება სჭირია აგრეთვე ყოველგვარ საჭმელს, რომელსაც კი შეუძლია კუჭი აშალოს. განსაკუთრებით ამ მხრივ საფრთხილოა ხილი, რომელიც ჯერ კიდევ დაუმწიფებელია. ჩვენი ხალხი კი სწორედ ასეთ მკვახე ხილს უფრო ეტანება. გაფრთხილებით უნდა ვიხმაროთ ნაყინვი, ლუდი და კვასი, რადგან ამათაც შეუძლიანთ კუჭის აშლას. აგრეთვე
ზომიერად უნდა იხმაროთ ხილე
ლობის წყალი და ლიმონადი
ისიც იმ შემთხვევაში, თუ დანა
დვილებით იცით, რომ ის ნადუ
წყლიდან არის დამზადებული
მათი ბოთლებიც ნადუღი წყლ
გარეცხილი. დიდი მნიშვნელო
აქვს აგრეთვე საცხოვრებელ ბინ
და ოჯახების სისუფთავეს. ოთახ
მუდამ დასუფთავებული უნდა
ქონდეს, ეზოები დაგვილი. ნაგვი
თვის ცალკე ყუთი უნდა იყვ
რომ ადვილი იყოს მისი გატან
განავალისათვის კიდევ ცალკე მ
წყობილი ადგილია საჭირო. თვ
თონ ჩვენ ხშირად უნდა დავიბანო
ტანი და ვიცვალოთ საცვლებ

განსაკუთრებით ყურადღება
სმელ-საჭმელს უნდა მიექცეს, უნ
გაუფრთხილდეთ, რომ ჭამა-სმ
დროს ხოლერის ვიბრიონი არ ჩაგ
ყვეს კუჭში. აქ ყველაზედ უფრ
დიდი მნიშვნელობა აქვს სასმე
წყალს. იქ სადაც გამორკვეულ
უკვე, რომ წყალში ვიბრიონებ
უსათუოდ მხოლოდ ნადუღი წყ
ლი უნდა ვიხმაროთ, ნადუღ წყა
ში კი ვიბრიონები გადადუღებ
დროს იხოცებიან. ვიტყვი კიდ
მეტს: იქ, სადაც არ არის გამო
კვეული სასმელი წყალში არის
არა ვიბრიონები ანდა შეუძლებე
ამის გამორკვევა, უსათუოდ ნად
ღი წყალი უნდა ვიხმაროთ. ნად
ღი წყალის გადადუღების შემდ
ისეთ ჭურჭელში უნდა იქნეს ხა
ხმული, რომელსაც კარგი თავსახ
რავი აქვს და რომლის ხელ ახლ
ვე გასვრა ვიბრიონებით აღარ შე
ძლება, თორემ, როგორც ჩვენ უ
კვე ვიცით, თუ ნადუღ წყალ
გადადუღების შემდეგ ვიბრიონ
მოჰყვა, იქ მას უფრო დიდ ხა
შეუძლიან იცოცხლოს, ვიდრე ა
დუღარში.

*) იხ. „სახ. გაზ." N 69.

სკოლებში უფრო გულმოდგინე იქნება, ვიდრე ოჯახებში, მეტადრე ღარიბ ხალხისაში და ამიტომ უსაფუძვლოა შიში, რომ ვაი თუ სკოლებშიც იჩინოს თავი სენმაო.

**შავი ჭირი.**

**ადესა.** სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, სამოსწავლო უწყების წარმომადგენელთ და ხოლერა შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურებს თათბირი ჰქონდათ, თუ რა იღონონ, რათა სენმა სასწავლებელში არ იჩინოს თავი. შეიმუშავეს ზომები.

**კიევი.** რათა ადესიდან შავი ჭირი არ შემოიტანონ, ქალაქის მმართველობამ გადასწყვიტა ააგოს ქვის ბარაკი, სადაც შავი ჭირით ავადყოფებს შეინახავენ და საგანგებო კაცი გაგზავნა ადესას შავი ჭირის წინააღმდეგ საშუალებათა შესასწავლად.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი.** მოსკოვში ერთი დღის განმავლობაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2; ატკარის მაზრაში ავად გახდა 2; ნოგაისკში გუბერნატორმა ბაზრობა აკრძალა; კიშინევში აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა, რადგანაც შავი ჭირის შიშია, დაევალოს ყველა დაწესებულებების პატრონებს, გაწყვიტონ თაგვები, მოაწყონ გამგეობასთან სანიტარების მორიგეობა, დაარიგოს უფასოდ ხოლერის წინააღმდეგი ასაცრელი წამალი; სიმფერეპოლში, ქალაქის საკრებულომ დაამტკიცა წესდება საზოგადოებისა, რომელიც უნდა დაეხმაროს ხოლერით გარდაცვალებულთა ობლებს.

**პეტერბურგი.** ქალაქში ავად გახდა ერთის დღის განმავლობაში 54, გარდაიცვალა 25, საავადმყოფოებშია 791.

**პეტერბურგი.** ხოლერასთან და შავ ჭირთან საბრძოლველ კომისიის განკარგულებით ხოლერის მხრივ საშიშრად გამოცხადებულია გუბერნიები ერევნისა და ქუთაისისა, ქალაქები—მოსკოვისა, ვოლოგდისა, ვინნიცისა და ყარსისა, მაზრები—ჩერეპოვეცისა, მურამისა, ვოლოგდისა, გრეზოვეცკისა, ჩერდინისა, ოსინისა, იშიმისი, კუსტანაისისა, ყაზანისა; აგრეთვე ქალაქი პსკოვი მაზრითურთ, ყარსის ოლქი; გუბერნიები ვოლოგდისა, ტიფლისისა და განჯისა. შავი ჭირთან მებრძოლი კომისიამ დროებით 1011 წლის 1 იანვარამდე დროებით ნება დართო იმ დაწესებულებებს, რომელნიც ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, მოიწვიონ სამხლვარ გარედ სწავლა მიღებულ იქნება, ვისაც კი შესაფერი მოწმობა აქვს ან ორი წელიწადი უშუშავნია სამკურნალოებში, ოღონდაც ყოველ ამგვარ შემთხვევაში წინასწარ უნდა დაეკითხოს ადგილობრივ საგუბერნიო საექიმო ინსპექტორს.

საგენტომ შემდეგი ცნობები მიიღო ხოლერის გავრცელების შესახებ: პოლტავის გუბ. ერთის კვირის განმავლობაში ავად გახდა 454, გარდაიცვალა 181, პერმში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 12; ომსკში ერთს დღეში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 5, ვიატკის გუბ. ავად გახდა 11, გარდაიცვალა 4; ჩერნიგოვის გუბ. სენის დაწყობიდან ავად გახდა 1552, გარდაიცვალა 601; სენის დაწყებიდან ავად გახდა 108, გარდაიცვალა 55; გუბერნიაში ავად გახდა 290, გარდაიცვალა 86. ორელში საგუბერნიოს სანიტარ კომისიამ დაადგინა ითხოვოს სახელმწიფო ეგზამენების გადადება საექიმო განყოფილებებზე იანვარამდე; რათა სანიტარები არ შემოაკლდეთ ადგილობრივ, სადაც ხოლერა მძინვარებს. სიმფეროპოლში გუბერნატორმა წინადადება მისცა, მოიწვიონ საგანგებო საერობო კრება, რათა ხოლერასთან შემდეგშიაც საბრძოლველად საჭირო თანხა გამოსძებნონ; ტვერის მაზრაში ერთი შემთხვევა იყო ავადმყოფობისა, რჟევისაში ერთი, მედენსკში 3, სორკის მაზრაში 5, გარდაიცვალა 5; ხერსონის გუბ. ალექსანდრიის მაზრაში ხოლერასთან საბრძოლველად წავიდა წითელ ცვარის რაზმი.

---

თუმცა გამოცხობის დროს პურზედ და პურში მყოფი ვიბრიონები იხოცებიან სიცხისა გამო, მაგრამ შესაძლებელია პურს შემდეგ მოეცხოს ვიბრიონი ფურნეში და ან და გადატანის დროს. ამიტომ ყველას სჯობია ვიდრე პურს საჭმელად ვიხმარდეთ, 10—15 წუთით შევდოთ ხოლმე გახურებულ ფეჩში.

თვით ჭურჭელი, საიდანაც საჭმელსა ვხმარობთ ანდა რაშიც საჭმელს ვამზადებთ, აუცილებლად ნადუღი წყალით უნდა იყვეს გარეცხილი. საჭმლის ჭამის წინეთ უსათუოდ ხელ-პირი უნდა დავიბანოთ ნადუღი წყალით და საპნით. პირი და კბილები უნდა გამოვირეცხოთ აგრეთვე ნადუღი წყალით. საფრთხილოა აგრეთვე ისეთ წყალში ტანის დაბანვა, სადაც ხოლერის ვიბრიონები აღმოჩნდა, შესაძლებელია ვინიიდან ბანაობის დროს წყალი გადგვცდეს პირში.

დიდი გაფრთხილება სჭირია მწერბუზებს. შესაძლებელია ბუზი ჯერ ხოლერიან ავადმყოფს, მის განავალს ანდა გასვრილ საგანს დააჯდეს და შემდეგ კი ჩვენს სახლში გადმოვიდეს და საჭმელს დააჯდეს და ამგვარად საჭმელზე გადაიტანოს ვიბრიონები. ამიტომ სასტიკად უნდა მოვსპოთ ყველა მწერ-ბუზები ყოველგვარ საშუალებით.

აქამდის პირად გაფრთხილებაზე გვქონდა ბაასი. ეხლა ვილაპარაკოთ იმაზე თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ისეთ ადგილას, სადაც ხოლერა უკვე გაჩნდა.

უნდა გაღებულ იქნეს უფასო საჩაიები, თუ შეუძლებელია, იაფ-ფასიანი სასადილოები, სადაც ყველაფერი მოწყობილი უნდა იქნეს მეცნიერების კანონების მიხედვით. საჭიროა სალცვლები და ტანისამოსიც მიაწოდონ ღარიბ ხალხს და აგრეთვე შეძლება მისცენ მათ უფასოდ გაისუფთაონ ტანი, დაიბანონ აბანოებში.

უსათუოდ ყოველგვარ დაწესებულებაში და აგრეთვე ქალაქის სხვა და სხვა ადგილას უნდა იქნეს ნადუღი გაციებული წყალი და ისიც ისეთ ჭურჭელში, რომელიც დახურული და დაკეტილია, რომ წყალი აღარ გაისვაროს შემდეგ გადადუღებისა. უნდა გასუფთავდეს ქალაქი და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მის სანიტარულ მდგომარეობას. შემოტანილ სანოვაგეს ქალაქში თვალ-ყური უნდა ადევნოს სასანიტარო კომისიამ, რათა გაფუჭებული და ძველი სანოვაგის გავრცელებით მცხოვრებლების ჯან-საღობას რაიმე ზიანი არ მიეცეს.

ხოლერა ამ 18 წლის წინადაც ესტუმრა ჩვენს ქვეყანას და დიდი ვნება მიაყენა. ეხლაც ვინ იცის, რამდენი მსხვერპლი შეიწიროს, რამდენი ძლიერით სავსე მშრომელი მოაშოროს სოფელს, თუ ზომები არ მივიღეთ, თავს არ მოუარეთ და არ შევასრულეთ ის, რაც მეცნიერებას ხანგრძლივ გამოკვლევათა შემწეობით შეუმუშავებია. ხოლერა არ დაგვინდობს, მით უმეტეს რომ ნიადაგი ამ საშინელ სენისათვის მზად არის. დამშეული, სიბინძურით მოცული და ყველასაგან თავმინებებული სოფელი ხოლერის ბუდედ გადაიქცევა. დღეს დღეობით, სანამ სენი მძვინვარებს—უნდა ვებრძოლოთ პირდაპირ ხოლერას, და როდესაც ამ მტერს გავდევნით—შემდეგ უნდა კვლავ გაათკეცებულის ენერგიით შევებრძოლოთ ხოლერისა და ყველა უბედურობის წარმომშობ პირობას—ხალხის ფართო წრეების უვიცობას და სიღარიბეს.

ექიმი შ. მიქელაძე.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **სეტყვის წინააღმდეგი ზარბაზნები.** თელავის მაზრის, სოფ. იყალთოს მცხოვრებმა მემამულემ თავ. მაყაშვილმა სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აცნობოს მას, თუ რა და რა ფასად შეიძლება სყიდვა სეტყვის ამცილებელი ზარბაზნებისა. მეზობლად მდებარე სოფ. რუისპირი ამ ზარბაზნების წყალობით ძალიან კარგად ებრძვის სეტყვას, რომელიც უწინ ერთობ აზარალებდა მათ ეს ზარბაზნები ყველას აქვს შეძენილი სასოფლო ხარჯით.

✦ **კიევის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სომეხ სტუდენტა თვისტომობის ექსკურსია** მიემგზავრება კიევს 16 მარიამობის თვეს ამ გზით: ტფილისი, ბაქოჯარი, როსტოვი, ეკატერინოსლავი—კიევი. ჩარიცხვა და ფულის შეტანა შეიძლება ათ მარიამობისთვემდე დილის 9—11 საათამდე სტუდ. სერგო სეროვბიანცთან, ერეკლეს ქუჩა „კომერციული ნომრები (სიონის ტაძრის მახლობლად).

✦ **დამატებითი მატარებლები.** რადგან მოაგარაკენი დაიძვრნენ აბასთუმან-ბორჯომიდან და ბორჯომის მატარებლები მგზავრების სიმრავლეს ვეღარ აძლიან, ამიტომ ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ 6 ამ თვიდან ბორჯომიდან ყოველ დღე იაროს დამატებითი მატარებელმა; მატარებელი გამოვა ბორჯომიდან 4 საათსა და 45 წ. და ჩამოვა ხაშურს (მიხაილოვოს) საღამოს 5 ს. 48 წ. ხოლო ბორჯომ-პარკსა და ბორჯომ-სადგურს შორის ივლის ორი მატარებელი. („ტ. ლ.“)

✦ **თავისუფალი ადგილები ქალაქის სახალხო სკოლებში.** ამ სამოსწავლო წლიდან ქალაქი ხსნის თავის პირველ დაწყობითი სასწავლებლებში კიდევ ახალ განყოფილებებს; ამის წყალობით ამ ხანად მოიპოვება ხუთი თავისუფალი ადგილი მასწავლებლისა—ორი ქართულისა, ორი სომხურისა და ერთიც რუსულ განყოფილებათათვის. ადგილის მთხოვნელი ბევრია—50-ამდე თხოვნაა მოცემული; სამმართველოს სასკოლო კომისია საბოლოოდ გადასწყვეტს ამ საკითხს დაახლოვებით მარიამობისთვის ოცში, რადგან ამ დროს კომისიის ყველა წევრები ჩამოიკრიბებიან ქალაქში.

✦ **წყლის მილი ახალშენში.** ახალშენელთ, რომელთაც აქნობამდე მხოლოდ ჭის წყალი მოეპოვებოდათ, გადუწყვეტიათ გამოიყვანონ ქალაქის წყლის მილიდან წყალი; გეგმა შეუდგენია ინჟინერს გ. ზ. ქორდიანს და მის ვარაუდით დასჭირდება 4,500 მ., ამ თანხიდან 1,500 მ. უნაწილებს ქალაქი ხოლერასთან საბრძოლველად გადადებულ თანხიდან, 1,500 მ. სთხოვენ ქალაქს, და 1,500 მ. გაიღებს თვითონ ახალშენები, 300 კომლი, კისრულობენ.

✦ **ქალაქის სკოლების ხარჯთაღრიცხვა.** ქალაქის სასკოლო კომისიას შეუდგენია მომავალ 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვის; პროექტი: აი რა ხარჯია საჭირო მომავალ წლისათვის ქალაქის სკოლების შესანახად: ქალაქის პირველ დაწყებითი სივაჟო სკოლების მოსამსახურეთა ჯამაგირები—81,332 მან. 33 კაპ., სამეურნეო ხარჯები 59,197 მ., ორ ამ გვარსავე ქალთა სასწავლებლის მოსამსახურეთა ჯამაგირები 9,587 მ. 50 კაპ., სამეურნეო ხარჯები—5,912 მ., ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მოსამსახურეთა ჯამაგირები 24,610 მ., სამეურნეო ხარჯები 20,905 მ. და მასალის შესაძენად 3,000 მ., ქალაქის ქალთა პროფესიონალურ სახელოსნოს მოსამსახურეთა ჯამაგირები 7,495 მ. და სამეურნეო ხარჯები 4,626 მ.

✦ **უფასო საჩაიე იგდირში.** სომხურ საქველ-მოქმედო საზოგადოების მთავარმა საბჭომ შეიწყნარა ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნა და სოფ. იგდირში უფასო საჩაიეს გახსნა გადასწყვიტა.

✦ **თოვლი.** ბაკურიანსა და დასავლეთ ამიერ-კავკასიის სხვა მაღლობებში თოვლი მოსულა 2 ამ თვეს; ამ უკანასკნელ დღეების სიგრილე ქალაქში ამით თუ აიხსნება.

✦ **შინათ მრეწველობის კურსები.** ქალაქ სოჭას ამ შემოდგომაზე იხსნება შინათ მრეწველობის კურსები; კურსებისათვის შეუძენიათ კიდეცა კედლის სურათების მთელი კოლლექცია, ბუნდოვან სურათებისათვის საჭირო ლამპარი და სხვა.

✦ **სასოფლო სამეურნეო მუზეუმი.** სოჭის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ამ წელს, შემოდგომაზე აარსებს ქ. სოჭის სასოფლო-სამეურნეო მუზეუმს. საზოგადოებას დაეხმარა მიწათ-მოქმედების და მიწით მოწყობის მთავარ სამმართველო, პეტერბურგის ბოტანიკური ბაღი და სამეცნიერო აკადემია. სოჭის ქალაქის თვითმართველობამ უფასოდ დაუთმო საზოგადოებას მოედანი, სადაც აგებული იქნება მუზეუმის შენობა.

✦ **სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღები.** ჩვენს მეურნეობას ისევ ძველებურის, მამა პაპურის წესით აწარმოებენ; რასაკვირველია შემოსავალიც და ნაყოფიც გლეხი კაცისა მცირეა; თავი-და-თავი მიზეზი ჩვენი ჩამორჩენისა უცოდინარობაა და ადგილობრივ ზოგიერთი მანქანა-იარაღის უქონლობა. ამიტომაც ძალიან სასიამოვნოდ დაგვირჩა, როცა გავიგეთ, რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მიუღია რუსეთიდან გამოწერილი გაუმჯობესებული მანქანები.

✦ **თესლის სარჩევი მანქანა რობერისა** ღირებულ 70 მანეთი; ამ მანქანის წყალობით სათესლეს სრულებით ეცლება რაც-კი რამე მას უცხო თესლი ურევია, არჩევს თესლს რამდენიმე ხარისხად, და მეურნეობაში ერთად საჭიროა; მიუღიათ კიდევ ამ ევროპიული სადღვებელი „ვიქტორია“ სამ ვედრიანი, ღირებული 30 მან., ამ სადღვებელში კარაქი ამოდის, იდღვიბება ნახევარს საათს, ერთს საათზე მეტი დრო არ დასჭირდება; ჩვენებური ჩხუტი კი (თიანეთის მაზრაში) საჭიროებს დიდს ჯაფასა და დროს ეს სადღვებელი ადვილი სამუშავებელია, ადვილი გასარეცხი, მკვიდრი და კარგად მომუშავე.

მიღებული აქვსთ აგრეთვე ბამბის ამერიკული სათესი მანქანა, რასაც ამხანად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბამბის მოყვანა ძალიან ვრცელდება კავკასიაში; ამ მანქანით მოთესილი ადგილი კარგს მოსავალს იძლევა, ბამბა შემოდის ერთს დროს, თესლი ნაკლები სჭირია, ვიდრე ხელით დათესვის დროს. ღირს ეს მანქანა მხოლოდ 43 მ.

✦ **თავდასხმა.** სოფ. ნოსირიდან (სენაკის მაზრა) იტყობინებიან, რომ 28 მკათათვეს ღამე, რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ მოქმედი დასცემია მოსაკლავად ადგილობრივ მცხოვრებს ალექსი ბოკუჩავას, რომელსაც უდროვებია და გაჰპარვია ავაზაკებს. ბოროტ-მოქმედთ, ბნელაში ვერ გაურჩევიათ და შეცდომით მოუკლავთ ბოკუჩავას ღვიძლი, რომელიც ალექსად ჰკონებიათ (ზ.)

✦ **სახელმწიფო გადასახადი ქალაქებში.** ფინანსთა სამინისტროში ამჟამად ამუშავებენ ქალაქის უძრავ ქონებათა სახელმწიფო ხარჯის გაწერის ახალს წესს. ამიტომაც ქალაქის ხარჯთ გამწერი, სამინისტროს მოწერილობით იკვლევს იმას თუ როგორ სწარმოებს ქალაქ ტფილისში უძრავ ქონებათა ახალი შეფასება. ამბობენ, რომ სახელმწიფო გადასახადი ერთი ორად იქნება გადიდებული. (ზ.)

✦ **უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში.** ფეს უნივერსიტეტის პროფესორი ჩვენი თანამემამულე 3. გ. მელიქიშვილი ყოფილა ამ ახლო ხანში პეტერბურგსა და უნახავს სახალხო განათლების მინისტრი. ეხლა იგი წერილითატყობინებს თავ. გ. მ. თუმანოვს, თავმჯდომარეს „კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის მთავარ კომიტეტისას“, რომ სამინისტრო თანაუგრძნობს საზოგადოების ან კერძო პირთა ხარჯით და თაოსნობით უმაღლეს სასწავლებელთა დაარსებას. სამინისტრო ამხანად წესდებას სთხზავს ამგვარ სასწავლებელთათვის სახელმწიფო სათათბიროში წარმოსადგენად. ხოლო თუ ტფილისში მოახერხეს და წესდება შეადგინეს ადგილობრივ უნივერსიტეტის ან პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დასაარსებლად მაშინ შესაძლებელია, რომ სამინისტრომ ნება დართოს ამისთანა სასწავლებლის დროებით დაარსებაზე ქ. ტფილისში, ვიდრე სახელმწიფო სათათბირო განიხილავდეს ამ საკითხს საზოგადოთ. (ზ.)

✦ **ხოლერა მეტეხში.** (გორის მაზრა) ივლისში ხოლერით ავად გახდა 10 კაცი, გარდაიცვალა ოთხი: აბუაშვილი, გუგულაშვილი და სხვა. ექიმი და ფერშალი მცხეთიდან მიდიან. არჩეულია სასანიტარო კომისია: სტუდენტები ბარნაბაშვილები და გ. მაღალაშვილი. წამლებისთვის სასოფლოთ გააწერეს 100 მან. სანიტარულ პირობების გასაუმჯობესებლად ზომებია მიღებული.

✦ **მარიამობა მეტეხში.** 15 აგვისტოს მეტეხში ჩვეულებრივ დიდი დღეობა იცის მარიამობა. რადგან მეტეხში და ახლო მახლო სოფლებში ხოლერა გავრცელებული წელს დღეობა აღარ გაიმართება. სთხოვენ ვისაც სალოცავად უნდოდა მოსვლა ნუ შესწუხდება.

✦ **დაჭრა.** ზესტაფონიდან გვატყობინებენ რომ 5 აგვისტოს დილით 4 საათზე სადგურის თანამშემწემ ვასილ მიხეევმა თავის ოთახში მძიმედ დასჭრა ვიღაც უცნობი ქალი. დაჭრილი ქუთაისის საავათმყოფოში გაგზავნეს.

✦ **ხოლერა.** პოლიცის ცნობით, 4 აგვისტოს ტფილისში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი. მათი გვარები: 1) ნიკოლოზ ივანეს ძე ანჩაბაძე, 2) არუთინ ოჰანეზას ძე ფარსეგი, 3) მარიამ იაკობის ასული ნაცვალაშვილი, 4) არმენაკ ძე მამიკონისა და 5) ყრამეი დანიელიანცი. ავადმყოფთა ბინებს დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ **ცეცხლი.** 4 აგვისტოს ფომინის შესახვევში ცეცხლი გაუჩნდა ნიკოლოზ ჩირუმოვის სახლს. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმა. ზარალი 1,000 მანეთამდეა. სახლი დაზღვეულია 5,000 მანეთად.

✦ **ამატუნის ქუჩის მცხოვრებთა საჩივარი.** ამატუნის ქუჩის მცხოვრებლებმა საერთო საჩივარით მიმართეს ტფ. გუბერნატორს. უჩივიან ქალაქის გამგეობას, ჩვენი ქუჩის მოუწყობლობას გამგეობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს, თუმცა რამდენჯერმე თხოვნით მივმართეთო.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალოს ინსპექტორის ცნობით, 4 აგვისტოს დილის 9 საათიდან 5 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი, ხოლერის ნიშნებით—1. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—35 ავადმყოფი, მოემატა—3, მოკვდა—5, დარჩა—33.

✦ **შავი ჭირის მოლოდინში.** როგორც გუშინ ვწერდით, ქალაქის მოურავის მოადგილე ა. ი. ხატისოვი შეეკითხა რამდენსამე ქალაქს, რა ზომები მიიღეთ რუსეთიდან შავი ჭირის შემოტანის წინააღმდეგო. გუშინ ქალაქის გამგეობამ მიიღო პასუხი ფოთის ქალაქის მოურავის ნ. ნიკოლაძისაგან; რომელიც ატყობინებს. რომ ზომები შავის ჭირის წინააღმდეგ და აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილი გვაქვს, მაგრამ უსახსრობისა გამო დღემდე ჩვენი გადაწყვეტილება არ მოგვიყვანია სისრულეშიო. ასე, რომ ფოთის იმედი არ უნდა ჰქონდეს არც ტფილისს და არც ამიერ კავკასიასაო.

✦ **მოულოდნელი რევიზია.** გუშინ, 5 აგვისტოს, ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ ა. ი. ხატისოვმა მოულოდნელად რევიზია გაუკეთა ქალაქის თვით-მმართველობის ზოგიერთ განყოფილებას.

✦ **უპასპორტოთა რიცხვი.** პოლიციას ივლისის განმავლობაში ქალაქის სხვა და სხვა უბანში სულ 47 ჯერ მოუხდენია საერთო ჩხრეკა-დაპატიმრება. შეუპყრია სულ 492 უპასპორტო.

✦ **მეპურენი.** გუშინ პირველ უბნის ბოქაულმა ოქმები შეუყენა სამ მეპურეს იმის გამო, რომ ისინი პურს შესაფერ ხარისხის ფქვილისგან არ აცხობენ.

✦ **უვარგისი ხილი.** გუშინ სასანიტარო კომისიამ ვერაზე სხვა და სხვა დუქანში 300 ცალი უვარგისი საზამთრო და ნესვი და რამდენიმე ფუთი სხვა ხილი მოსპო.

✦ **მათხოვრები.** ივლისის განმავლობაში პოლიციას 112 კაცი შეუპყრია მათხოვრობისთვის.

✦ **ლექციები ხოლერაზე.** კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში კვირაობით წაიკითხავენ ლექციას ხოლერაზე ოთხ ენაზე: რუსულად, ქართულად, სომხურად და თათრულად. პირველი ლექცია იქნება რუსულს ენაზე, წაიკითხავს **ექიმი ფიშერი.** კვირას 8 აგვისტოს შესვლა უფასოა.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა უბნის ბოქაულებს და მაქებარ პოლიციის უფროსს ენერგიული ზომები მიიღონ 20 ივლისიდან ტფილისში უკვალოდ დაკარგულ ავიდ სინოდის მოსამსახურე.

✦ 4 აგვისტოს საერთო ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ შეიპყრო 61 უპასპორტო.

# მოწერილი ამბები

**ს. მათხოჯი.** (ქვემო იმერეთი) ერთი თვის წინეთ, როდესაც ძლიერი სიცხეები აჭკნობდა და ახმობდა გლეხის ჯეჯილ-ყანებს, მის სიმდიდრეს—ყანას როგორც მოხსენებული მქონდა წინა წერილში მათხოჯის გლეხობა ფეხზე დადგა და განიზრახა წყლის არხების გამოყვანა მახლობელ მდინარე ცხენისწყლიდან ამ მიზნის განსახორციელებლათ დანიშნული იყო აღმასრულებელი კომისია, მაგრამ როდესაც წვიმები გახშირდა, მათხოჯელებმაც დაივიწყეს ყველაფერი, შესწყვიტეს ამაზე ხსენებაც თითქოს არაფერი ყოფილა... დაირღვა კომისია, და ისევ ძველებური სიწყნარე ჩამოვარდა.

„უაწერება კაცს ყველაფერს აფიქრებინებსო“, ნათქვამია, ამ შიმშილობამ და უნუგეშო მდგომარეობამ წარმოშობა და განაახლა აქამდე მიძინებული ქურდ-ბაცაცობა: ისე კვირა არ გადის რომ რაიმე უბედურება არ დატრიალდეს სოფელში. თითქმის ყოველ კვირას ამის შესახებ ეკლესიაზე კრებაა, მაგრამ ამ კრებებიდან არა გამოდის რა.

წინათ ადგილობრივ მონასტრის მოძღვარს მოჰპარეს ერთი მოზვერი, რომელიც ერთი თვის შემდეგ იპოვნეს მინდორში რქებ დამტვრეული. ალბათ ქურდებს გაქცევიათ. ქურდობასთან ერთათ ჯიბგირობამაც მოიკიდა ფეხი. ორი დღის უკან გლ. პრ. მელაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 19 მან. სწორეთ რომ გაირყვნა სოფელი. რამოდენიმე წლის წინათ ასეთ ქურდობას ადგილი არ ჰქონდა, ვინაიდან ცოტათ თუ ბევრათ უზრუნველ ყოფილი იყო გლეხობა.

მათხოჯის „ინტელიგენცია“, აქამდე ღრმა ძილს მიცემული და ეხლა მხოლოდ მუჯლუგუნით გაღვიძებული, გამოირკვა ძილისაგან; მოაგონდა თვალი სოფლის უკუღმა ტრიალს და განიზრახა მისი წაღმა მობრუნება. უსაქმურობით დაშაშრული, მხიდოდ უკანასკნელად წაქეზებული ის ეძებს საქმეს, რითაც სურს სახელი დაიმსახუროს ხალხის წინაშე, და ასე ამ როგათ მას ხვდება პირველათ თვალში მოშვრადი ბიბლიოთეკა. გადასწყვიტეს ბიბლიოთეკის სასარგებლოდ წარმოდგენა გამართონ; ამოირჩიეს სათამაშოთ „შავი კატა“. აზრათ აქვთ ეს პიესა გამართონ მახლობელ სოფლებში; ნადღესავში და გორდში... და მათ

შეიძლება სადსარი მოუმზოვონ ჩვენს სამკითხველოს.

ლ. მათხოჯელი.

—

**სოფ. ნიკორწმინდა** (რაჭის მაზრა.) 23 ივლისს, ამ სოფელს და საზოგადოთ ნიკორწმინდის საზოგადოებას, რომელიც შესდგება ათ სოფლისაგან, ეწვია, სვანეთში მოგზაურობის შემდეგ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ. რუდოლფი, რომელსაც თან ახლდენ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირეკტორი ბ. სიმითხოვი და ინსპეკტორი სულაკოვი. ნიკორწმინდის საზოგადოებაში, არსდება სამოქალაქო სასწავლებელი და ბ. მზრუნველს უნდოდა დაეთვალიერებია ეს მხარე და გაეგო, რამდენად საჭიროა ამ საზოგადოებისთვის სამოქალაქო სასწავლებლის დაარსება. 23 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე ეწვია იგი ხოტევის (ნიკორწ. საზოგად) ორკლასიან სასწავლებელს. ეს სკოლა ხოტევის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავნი მახლობლად არსებობს. სკოლას, როგორც შეეფერება სასწავლებელს, ეზო არ აქვს კარგი, ფერდობი ადგილია და ამიტომ მოსწავლეები ვერ სარგებლობენ ამ ეზოთი. ამ, მიზეზისა გამო ბ. მზრუნველმა ისურვა, რომ ეს სკოლა გადატანილი იქნეს უფრო კარგ და შესაფერ ადგილზე, აქედან რუდოლფი გაემზავრა ნიკორწმინდას; დაათვალიერა ნიკორწმინდის ეკლესია და შემდეგ ინახულა ორი ადგილი, ერთი სოფელ ჭელიადელეს და მეორე ნიკორწმინდაში სამოქალაქო სასწავლებლისათვის. მას ძალიან მოეწონა ნიკორწმინდის ადგილი თავის მაღალი და ვაკე მდებარეობით, ეკკლესიით.

მეორე დღეს, 24 ივლისს, დილის ცხრა საათზე შეიკრიბა საზოგადოება, რომელსაც ბ. მზრუნველმა მიულოცა, რომ მას, ახლო მომავალში ექნება სამოქალაქო სასწავლებელი. ხალხმა დიდი მადლობა გადაუხადა. მზრუნველმა გამოუცხადა საზოგადოებას: ამოირჩიეთ რამდენიმე ადგილი ამ საზოგადოებაში სასწავლებლისთვის და წარმომიდგინეთ მე ერთი მათგანის დასამტკიცებლათ. ამ ადგილებიდან იმას დაუმტკიცებ, რომელიც უფრო კარგი და მოხერხებული იქნება. შემდეგ გამოვგზავნი ხარჯ აღრიცხვის ანგარიშს სასწავლებლის შენობის ასაგებათ და, როდესაც შენობა მზათ იქნება, სწავლაც სასწავლებელში მაშინ გაიხსნება. წარკვლისის შემდეგ ბ. მზრუნველი რამდენიმე ინტელიგენტთა თანახლებით ტყიბულის გზით გაემგზავრა ქუთაისისაკენ.

**იონა.**

—

**ს. იწერი.** (ქუთაისის მაზრა). სოფელი ჩვენში საზოგადოთ და კერძოდ კი ეწერი, მართლაც რომ უნუგეშო სურათს წარმოადგენს. ყოველ მხრივ მივიწროება: სხვას რომ თავი დავანებოთ ხალხი მეტად შეწუხებულია არა მკითხე „ეკალის მეთოველი" ჩავერებისაგან ამას არ საჭიროებს და როდესაც უგი ცნი და ვერაგნი არა ერთხელ და ორჯელ შეურაცყოფილ სოფლელის პიროვნებას...

ამინდი წელს შედარებით კარგი იყო. არც შემაწუხებელი სიცხეები, არც ჩვეულებრივი ქარები და ერთი სიტყვით ამ მხრივ ბედნიერები ვიყავით. მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ ამინდებმა ხელი შეუწყეს სხვა და სხვა სენის გავრცელებას. იშვიათად შეხვდებით ჩვენსკენ ისეთ ოჯახს, რომ ორი სამი ავადმყოფი არ იწვეს, ციებ-ცხელებამ ხომ სამუდამო ტახტი დაიდგა ძალიან ხშირია აგრეთვე მუცელა. ეს ავადმყოფობა მეტად აშინებდა ხალხს, ბევრს ხოლერა ეგონა. ნამდვილად ეს ავადმყოფობა მუცელა იყო, მაგრამ დადგა თუარა აგვისტო, ხოლერამაც არ დაგვტოვა უნახავი. ამ დღეებში აქ ავად გახდა ერთი გლეხი, დილის ათ საათამდე თითქმის კარგათ იყო, შუადღის ხანს კი ძალზე ავად გახდა, მოიწვიეს მღვდელი რომელმაც ავადმყოფი ხოლერიანად იცნო. მოიწვიეს იმ დროს შემთხვევით იქ მყოფი ექიმი, რომელმაც გასინჯა ავადმყოფი და მღვდლის აზრი დაამოწმა. ხალხს ურჩია მორიდებოდნენ და თავს გაფრთხილდებოდნენ. მეზობლებმა არ გაიგონეს აქამის სიტყვები და მიცვალებულს თავს დასტრიალებენ, მიდიან სამძიმარს ეუბნებიან მიცვალებულის ნათესავნი. ტირიან და სხვა არავინაა, რომ აუკრძალოს ასე თავისუფალი სიარული ხოლერიანთ ბინაზე.

ნ. გონაშვილი.

# წერილი გერმანიიდან

(საზღვარ-გარეთ წამომსვლელთა საყურადღებოთ)

საჭიროდ მიმაჩნია, რომ აქ წამომსვლელთ, ცოტათ თუ ბევრად, გავაცნო სწავლისა და ცხოვრების პირობები. ხშირად შეჰყავთ შეცდომაში მოსწავლე ახალ-გაზრდობა, რომ ვითომ აქ, უმაღლეს სასწავლებლებში სამი ან ოთხი კლასის მოწმობებით იღებდნენ. ვურჩევ წამომსვლელთ ჯერ აქაური პირობები რიგიანად გაიგონ და მერე საქმეს ისე შეუდგნენ.

უმაღლეს სასწავლებელში: პოლიტეხნიკუმში, უნივერსიტეტში და სამეურნეოში, იღებენ მხოლოდ გიმნაზია და სემინარია დამთავრებულთ. (რეალურ სასწავლებელში ნასწავლთ არ იღებენ; ამიტომ საჭიროა დამატებითი ეგზამენები და გიმნაზიის მოწმობის მიღება), სწავლის ფასი ლექცია საათში ყველგან ღირს ოთხი მარკა—(1 მ. 85 კ.) –რადგან პოლიტეხნიკუმში გვახდევინებენ წლიურად საზღვარ-გარეთობისას 50 მანეთს, ამიტომ უნივერსიტეტში 50 მან. სწავლა წლიურად ნაკლები ჯდება. წელიწადში სწავლა ჯდება 200 მან. და ზოგიერთი სემესტრები მეტიცა. პირველად შემსვლელთ საზღვარ-გარეელობის გარდა ახდევინებენ 20 მან. სასწავლებელში ჩასარიცხს. პოლიტეხნიკუმში არსებობს ორი ეგზამენი: ნახევარ დიპლომისა და გათავებისა. პირველი ეგზამენი ღირს 45 მან. და მეორე 90 მან. უნივერსიტეტში არსებობს მარტო გასათავებელი ეგზამენი და ჯდება 220 მანათამდის. მარტო საექიმოა ხუთი წლის კურსი და სამეურნეო სამის, სხვა დანარჩენი ფაკულტეტები არის ოთხ-ოთხი წლის. ზამთრის სემესტრი იწყება პირველ ნოემბერს და ვისაც ჩარიცხვა სურს, უნდა ადრევე იზრუნოს და წერილებით ან პირადათ ჩაირიცხოს კანდიდატად, რომ შემდეგში მიღება არ გაუძნელდეს.

ცხოვრება აქ 60 მან. ნაკლებ ყოვლად შეუძლებელია. მომყავს დაწვრილებით, თუ რა ჯდება თვიურად ცხოვრება, რომ კაცმა თავისი აუცილებელი საჭიროებანი დაიკმაყოფილოს: ოთახი 25 მარკა, სადილი 30 მარ., ვახშამი 15 მარ., სარეცხი 10 მარ.. საუზმე 10 მარ., სანათი და გასათბობი 10 მარ., წვრილმანი სასწავლო ნივთები 10 მარ. წიგნები და ტანისამოსი 20 მარ., (რადგან წიგნებსა და ტანისამოსს ნისიათ ვიღებთ, ვიხდით თვე და თვე ორთავეში 20 მარ.). სულ ერთად ჯდება თვეში 130 მარკა ე. ი. 60 მან. (თუ ამ ფულიდან რამე გასართობში წავა კაცი, ამ შემთხვევაში ან უსადილოდ და ან უვახშმოდ უნდა დარჩეს.)

ხშირად ათას ნაირი იმედებით დაუფიქრებლივ მოდიან და შემდეგში აქ გაჭირვებაში ვარდებიან—კარგათ მოგეხსენებათ, თუ მოსწავლეს ყოველაფერი რიგზედ არა აქვს, მაშინ სწავლის მაგიერ წვალება გამოდის. ამიტომ ვურჩევ ყველას, ვისაც წამოსვლა სურს, საქმე ისე დააყენოს, რომ შემდეგში აქ მატერიალურის მხრივ უზრუნველ ყოფილი იყოს, ვისაც წელი არ მოსდევს და ზემო აღნიშნულ პირობების ასრულება არ შეუძლიან, აქ ტანჯვის მეტს ვერას გაარიგებს და სალი ჩამოსული სამშობლოში უწეს-რიგო ცხოვრების გამო ავათმყოფი დაბრუნდება. სისალე კი როგორც მოგეხსენებათ, უმთავრესი განძია ცხოვრებაში. სხვა ქალაქებთან შედარებით აქ ქ. მიუნხენში უფრო კარგად ეცხოვრებათ უცხოელებს, რადგან ხალხი კარგია და კარგათაც ეპყრობიან საზღვარ-გარეელებს. აგრეთვე საჭიროა ენის ცოდნა თეორიულად მაინც, რადგან ენის შესწავლას ბევრი დრო მიაქვს და ვისაც ენა თეორიულად ეცოდინება, მალე შეეჩვევა ლაპარაკსაც. უმჯობესია სემესტრის დასყებამდის ადრე ჩამოსვლა, ზემო აღნიშნული პირობები არის ბავარიაში ქ. მიუნხენში. ვისაც სურს აქ რაიმე საქმის გაგება, ან ჩამოსვლა, შეუძლიან ჩემი ადრესი რედაქციაში გაიგოს რომელთაც ჩემ მხრივ რაც შემეძლება დახმარებას გაუწევ, წერილობით თუ საქმით.

**რ. გ—შვილი.**

—

P. s. სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები ძლიერ კარგ პირობებშია, სადაც ასწავლიან თეორიულათ თუ პრაქტიკულათ ყველა სამეურნეო დარგებს, გარდა ღვინის დაყენებისა, არის სამი წლის კურსი, მაგრამ ოთხ წელიწადზედ ადრე გათავდება ყოვლად შეუძლებელია. **რ. გ.**

# რუსეთი

◆ **მისიონერი.** ამ სათაურით გაზეთ. „რეჩი"-ს მე-№ 205-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი, რომელიც ჩვენ სრულიად მოგვყავს: „ირკუტსკში მოწვეულ სამისიონერო კრებაზე პირველი ადგილი უჭირავს დეკანოზს ვოსტროგოვს. იგი სასტიკად ჰკიცხავს ურწმუნოთ, მაღალ ზნეობრივ პრინციპებს ჰქადაგებს.

როგორია იგი? მემარჯვენეთა გაზეთები დაწვრილებით აგვიწერენ მის ბიოგრაფიას, მათი სიტყვით, როცა გიმნაზიაში მასწავლებლად იყო, თავის მოწაფე ქალებს ჰრყვნიდა და ხასებად, საყვარლებად იხდიდა მათ. მამა ვოსტროგოვის გარყვნილობის ერთ ერთი მსხვერპლი, ყოფილი მოწაფე ეკლესიის ამ მთავარ ბურჯისა, „გოლოს რუსკ."-ს მე-25—26 ნომერში მოგვითხრობს თუ რა და რა ხრიკებს ხმარობდა სამღვთო სჯულის მასწავლებელი ტფილისის ქალთა გიმნაზიაში, რათა მოწაფეთა რიცხვიდან ვინმე გაეხადა თავის ჰარამხანის ტყვედ. ვისზედაც თვალი მიუვიდოდა, მამა ვოსტროგოვი დაიწყებდა გრძელ გრძელ საუბარს შესახებ სიყვარულისა და მეგობრობისა. და ამ საუბრების შედეგი მუდამ ერთი იყო! ქალწული მღვდლის ხასად, საყვარლად ხდებოდა.

გაზეთს მოჰყავს სია მამა ვოსტროგოვის უსამღვრო მეგობრობისა: ანტონინა რუბანოვსკაი—ჭკუიდან შეიშალა.

ევგენია გრიგორიევისა, ჭკუიდან შეიშალა და გარდაიცვალა.

ვერა კულიკოვსკაიამ თავი მოიკლა.

ბორბენკოვის ქალმა თავი ჩამოიხრჩო.

რომანჩენკო და ცხომელიძე ფანჯრებიდან გადაცვივდნენ და გამოესალმენ ამ წუთი სოფელს.

ამ სიას ნ. დურნოვო „ს. პეტერბ. ვედომოსტში" (№ 25 მკათათვის თარიღით) უმატებს კიდევ მიხაილოვის ქალს, რომელმაც თავის ამხანაგთა მაგალითს წაჰბაძა და ფანჯრიდან გადავარდა.

ამ უკანასკნელმა შემთხვევამ მოთმინების ფიალა აავსო ქალაქში. მამა ვოსტროგოვის ბოროტმოქმედებაზე მთელმა ხალხმა დაიწყო ლაპარაკი. ქვათაც კი დაიწყეს ღაღადი გარყვნილ მღვდელის უმზგავს მოქმედებაზე. მაგრამ უმაღლეს მთავრობას არაფერი ესმოდა რა და არც თუ რასმე ხედავდა.

თავიანთ ამხანაგ ქალების შელახულ პატიოსნებას პირველად გამოექომაგნენ ისევ ტფილისის ქალთა გიმნაზიების მოსწავლენი. ამისათვის ისინი იძულებულნი იყვნენ „კრამოლნი" საშუალებისათვის მიემართნათ — მათ დაჰბეჭდეს პროკლამაცია, რომელშიაც აღწერილი იყო სულიერ მამის ივანე ვოსტროგოვის საქმენი საგმირონი" და მთელს ქალაქში გაიგეს იგი. ასტყდა ერთი აურ-ზაური. მამა ვოსტროგოვი მაშინ კი მიხვდა, რომ მისი დარჩომა ქალაქში საშიშია და შესაძლებელია ამ ქალაქში, სადაც აღმოსავლეთის ჩვეულებებს დიდი გასავალი აქვთ, ისეთი კაციც გამოჩნდეს, რომ ხანჯალი ან ტყვია არ დაინანოს ამისთანა ვაჟბატონისათვის. და მამა ვოსტროგოვმა ისევ საიდუმლოდ გაპარვა არჩია

აი, მამა ვოსტროგოვის „მოღვაწეობის" აღწერა მარტო ქალაქ ტფილისში. სამწუხაროდ არაფერი ისმის შესახებ იმისა თუ რას აკეთებდა ანაფორაში გამოწყობილი გრძნეული პავიანი რუსეთის სხვა ქალაქებში. ვიცით მხოლოდ, რომ მიუხედავად ამ სანაქებო მოქმედებისა, მამა ვოსტროგოვი წარმატებაში შევიდა, სამსახური ძალიან ემარჯვებოდა, თან დათან მეტი ძალა—გავლენა მოიპოვა.

ამ ხანად მან დიდების და გავლენის უმაღლესს წერტს მიაღწია. იგი მედიდურად თავმჯდომარეობს ირკუტსკში მისიონერთა კრებას, პატიოსან ხალხის შორის უხვად ხარჯავს მართლმადიდებლობის სახარების ცნებათა და ზნეობის დასაცავად.

უბედურად დაღუპულ ქალთა, აჩრდილი მას სრულადაც არ აწუხებს. სვინიდისი დამშვიდებული აქვს. იქ აწარმოებს დიად საქმეს მისიონერებისა, ხსნის სასწავლებლებს, აშენებს ეკლესიებს, ჰმართავს მემარჯვენეთ ორგანიზაციების განყოფილებებს. აღგზნებულ სიტყვებს ხარჯავს შესახებ მაღალ ზნეობისა და ტელეგრამებით ატყობინებს „ნოვოე ვრემიას" და „კოლოკოლს" თავის მოგზაურობის ნაყოფს ციმბირსა და აზიურ სამფლობელოში.

ახლანდელ სამისიონერო კრებაზე თავის მეგობარს გვერდს უმშვენებს ვ. მ. სევასტოვი, რომელიც უწმინდესი სინოდს წარმომადგენლად ითვლება".

◆ **სისხლის ღვრა.** თურქისტანში ამ ჟამად დიდძალი რუსობა ჩასახლდა; რასაკვირველია საუკეთესო მიწებზე, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ ყირგიზებს წაართვეს. გაჭირებული, ულუკმაპუროდ დარჩენილი ხალხი, რასაკვირველია, ეწინააღმდეგებოდა და ნებით არ აძლევდა მიწას, ისე რომ ხშირი იყო ჩხუბი და სისხლის ღვრა როგორც ეხლა „რუსკოე სლოვოს" ატყობინებენ სამარკანიდან, ახმაწკულის მინდორში ყირგიზებს და რუსებს დიდი ბრძოლა ჰქონია მიწის თაობაზე და ბევრი სისხლიც დაღვრილა; მნახველნი მოგვითხრობენ შემდეგს: ოთხი ათასამდე ყირგიზი შეყრილიყო ერთად, აესხათ იარაღი—ვისაც რა მოეპოვებოდა — თოფი, ხმალ-ხანჯალი ზოგს კომბლები და „ურ, ურ"-ის კიჟინით დასცემოდნენ მათ მამულ-დედულზე ჩამოსახლებულ რუსებს. რუსებს როგორც ეტყობა, სცოდნოდათ ეს ამბავი, წინდაწინვე მოეწვიათ ახლო მახლო მიწებიდან თავიანთი ხალხი და მოსულ ყირგიზებს სეტყვასავით დააყარა ქვა და ტყვია. ბარემ რამდენჯერმე ეკვეთნენ ყირგიზები რუსებს, მაგრამ ვეღარ გაუძლეს იარაღში ჩასხმულ რუსებს და დაიხიეს. ამ ბრძოლაში ყირგიზებს რუსებმა მოუკლეს ერთი და დასჭრეს ათი. სამარკანდიდან რუსებს ჯარები ჩამოშველეს და წესიერება აღადგინეს.

◆ **ებრაელების შევიწროება.** ვილნოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, თანახმად მინისტრის ბრძანებისა, გამოაცხადა, რომ ამ სამოსწავლო წლიდან ებრაელთა კერძო გიმნაზიებს ჩამოერთვა სახელმწიფო გიმნაზიების უფლებანი ჩამოერთვა იმ გიმნაზიებსაც, რომელთაც აქნობამდე ჰქონია ეს უფლება. ამ მოსწავლეთ, რომელნიც ამ წლამდე შევიდნენ გიმნაზიებში, უფლებები ეძლევათ, ხელ ახლად შესულთ არავითარი უფლებანი არ მიეცემათ.

◆ **ჯარის კაცთა ფულის მითვისება.** 29 მკათათვეს პეტერბურგში მთავარ სამხედრო სასამართლოში საქმე გაირჩა მე-21. აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა რაზმის აფიცრის თავ. შახოვსკის. მას ჰბრალსა სდებენ, რომ რაც რაზმის მეორე როტას უფროსობდა, არ აძლევდა ჯარის კაცებს მათ კუთვნილ ჯამაგირს. არ მისცა აგრეთვე სახლიდან ფოსტით გამოგზავნილი ფული. ესეც რომ არ იკმარა თავ. შახოვსკიმ, რაც ხელთ 170 მ. ჯარის კაცების კუთვნილი ფული ჰქონდა, თავისთვის დაიტოვა და არა შეიტანა შემნახველ კასაში, როგორც ამას კანონი მოითხოვს. დავთრებში კი ჩანიშნული ჰქონდა, ფული დავურიგე ჯარის კაცებს, როგორც წესი იყოვო. ბლაგოვეშჩენსკის სამხედრო სასამართლომ, სადაც თავდა-პირველად გაირჩა ეს საქმე, გადაუწყვიტა მას, თავ. შახოვსკის 4 თვით ციხეში დაპატიმრება, მგრამ სასამართლოს ბრალმდებელმა არტესტი განაცხადა და საქმე პეტერბურგში გადაიტანა. განაჩენი ჯერ არ გამოუტანიათ.

# წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ,

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სახელით მადლობა გამოუცხადო ყველა კერძო პირთ, დაწესებულებათ და ფირმებს, ვინც შემოწირულებით დაეხმარა უფასო საჩაიებს, რომელიც გახსნა ქალაქმა ხოლერასთან ბრძოლის მიზნით.

შემომწირველთა სია:

დ. ფ. ხარაზოვი 10 მან. ი. მ. პოპოვი 1 მ. ვ. მ. სულხანოვი 15 მან. ქ. მ. ალიხანოვი 25 მან. ძმ. მილოვები ა. და ა. 25 მან. ე. ს. მირზოევი 50 მან. გ. ო. მირზოევი 50 მან. გ. ს. სუკიასოვი 2 მან. გ. გუდნიკი 10 მან. გ. განინი 10 მან. ნატაშამ 1 მან. ი. ა. ბობოვისა 25 მან. ი. ა. ლიადგანსკი 5 მან. ზ. და ო. მოორზოვები 5 მან. ა. გ. საიპოვი 1 მ. თავ. ი. კ. თუმანოვი 25 მან. ი. ი. იაკუბოვიჩი 1 მანე ნ. ა. ადამოვისა 50 მან. ა. ი. შადინოვი 10 მან. გ. ნ. მარქაროვი 5 მან, ბ. მ შულიაცკისა 5 მან. ნ. ფ. შახნაზაროვისა 25 მან. ი. ფეიფერი 1 მან. ე. ს. ტერიანი 5 მან. ლომბარდის მოსამსახურეებმა ვ. ნ. ჩერქეზიშვილის გვირგვინის ნაცვლად 10 მან. ვ. მ. ხარაზოვი 20 მან. ექიმი ქალი მელიქ-ბალდასაროვისა 1 მან. ფედ. სავჩი 10 მან. ექიმი შახ-პარონიანცი 15 მან. ნ. და ვ. დუმბაძეები იგდირიდან 5 მან. სტუდ. მაზოვი 5 მან. ფირმა არგო 100 ბოთლი კონიაკი; ფირმა ნაზარბეგოვის 1 ფ. შაქარი 1 გ. ჩაი, ფირმა პოპოვისა 10 გირ. ჩაი; ფირმა ვისოცკისა 10 გირ. ჩაი; ლომკოვსკიმ 10 გირ. შაქარი ნახ. გირვანქა ჩაი) პობედიმოვისა ა. ნ. 2 გირ. ჩაი; აზოვო-დონის ბანკმა 1 თავი შაქარი, 2 გირ. ჩაი; პოლიაკი (ფირმა; 5 ფ. 10 გირ. შაქარი; კუზნეცოვი (ფირმა) 15 გირ. ჩაი; დ. მ. იონესიანი 10 გირ. შაქარი, 2 გირ. ჩაი; ბაინდუროვის ფირმისაგან 10 გირ. ჩაი; პოლიაკი (ფირმა) 1 თავი შაქარი 1 გირ. ჩაი.

ტფ. ქალაქის თავის მოადგილე

**ა. ი. ხატისოვი.**

—

ბ. რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთის №60 დასტამბულია მ. ნ. ბარნაბიშვილის წერილი, რომლითაც მომმართავს მე და თხოულობს,—განუმარტო იმ წერილში მოთავსებული ექვსი შეკითხვა.

ვასრულებ მ. ბარნაბიშვილის სურვილს და ვაძლევ პასუხს შეკითხვებზე: 1, აღნიშნული სინოდალური კანტორის მოწერილობის აღსასრულებლად მოვიწვიე საბლალოჩინო კრება. ქ. სიღნაღში. ხანგრძლივ სჯა-ბაასის შემდეგ ერთხმად: აღიარებულ-იქმნა „დარჩეს ბლალოჩინად ისევ დეკანოზი ბეგიევი. აბა უმჯობესი ვინა გვყავს, ვსარგებლოთ ამ რჩევითი უფლებით, როდესაც ვაკანსია დაიცლება"-ო. შემდეგ მ. ბარნაბიშვილა აეძულებინა სხვა და სხვა ხერხით და ოსტატობით მოძღვართ-მოძღვარი მ. ახმეტელაშვილი დაენიშნა კრება ბლალოჩინის ამოსარჩევად ს. ვაქირში და ხელმძღვანელიც ბრძანდებოდა თითონვე, კრებაც დაბოლოვდა მისივე მარცხით,—კრება ვერ შესდგა და მის მიერ წამოყენებულმა კანდიდატურამაც ასე ფუჭად ჩაიარა. არა, უფრო უმჯობესი არ იქნებოდა, რომ მ. ბარნაბიშვილი, ბუნდოვან ფრაზების მაგიერ ასახელებდეს თუ რა ზომები მოვიხმარე, რომ მისი ვითომდა დიდად სასარგებლო და განზრახვანი დარჩნენ მიზანს მიუხწეველნი?

2. საბლალოჩინო საბჭოს წევრნი უკვე კარგა ხანია რაც ამორჩეულ იქმნენ საბლალოჩინო კრებაზედ და წარდგენილ დასამტკიცებლად სათანადო მთავრობასთან. ამის შესახებ არსებობენ ოფიციალური დოკუმენტები; მაგრამ მთავრობას არ დაუმტკიცებია აქამომდე ეს შუამდგომლობა —ვარწმუნებ მ. ბარნაბიშვილს, რომ კერძოდ ჩემთვის და საზოგადოდ ადგილობრივ მცხოვრებთათვის დიდად სასურველიც და სასარგებლოც იქნებოდა საბჭოს არსებობა;—იგი, დარწმუნებული ვარ, შეაჩერებდა როგორმე საერთო ძალ-ღონით მავნე პირთ პარპაშსა და განსდევნიდა კიდეცა მათ სამღვდელოთ წრიდგან.

3. რომ სიღნაღიდან მაზრის ოთხი საბლალოჩინო ოლქის ხუთად გაყოფის წინააღმდეგ მე არასოდეს არა ვყოფილვარ, არამედ პირ-იქით დიდი მისი თანამგრძნობი და ჩემ მიერ ოფიციალურად მოწვეულ-იქმნენ რამდენჯერმე ქ. სიღნაღში ამ საგანზედ სათათბიროდ მ. მ. ბლალოჩინი: ღვთისავაროვი, ვაჩეშვილი და ეფიმოვი ორ-ორის დეპუტატით სამღვდელოთაგან, ამაზედ მოიპოვება საბუთები. როდესაც ამგვარი საერთო კრება ვერ მოხერხდა, შემდეგ ჩვენს კერძო საბლალოჩინო კრებაზედ, რომელზედაც მდივნის თანამდებობას ასრულებდა მ. ა. ზირაქაშვილი, მთელი ჩვენი მაზრის სამრევლოები გაჰყო იმ კრებამა ხუთის მაგიერ ექვსად (ალბად ემის შთაგონებით, რომ მეტი შემოსავალი მქონიყო), შეადგინა ამზედ ჯეროვანი სია და წარედგინა იგი დასამტკიცებლად სათანადო მთავრობასა; ამაზე არსებობენ საბუთები. ხოლო რომ ვითომ მე საუკეთესო სამღვდელო პირნი განზრახ არ მოვიწვიე კრებაზედ, ანუ დავესწარ საეპარქიო სამღვდელოთა კრებასა და ვიყავ მისი წინააღმდეგი, ეს კი მეტისმეტად წრეს-გადასული ინტრიგა-სიცრუეა.

4. თუ-კი მე არ მდო[illegible] მოძღვრის, მ. ახმეტელაშვილის, მისის ავადმყოფობისა გამო, სხვის ამორჩევა, ხომ მაშინ საჯაროდ და ოფიციალურად არც კითხვას აღვძრავდი ამაზე; ხოლო უკეთუ ეს ამორჩევა არ მოხერხდა და ვერ დაბოლოვდა, ამისი მიზეზი [illegible] რტიობის გამოწვევა. [illegible] რატომ არ ასახელებს,—ვინაა ხოლმე ჩვენს კრებებზე ამგვარი პარტიობის და სკანდალების გამომწვევი და რამდენი, ხომ კარგად იცნობს?

5. იმ მღვდლებს, რომელნიც ვითომდა მუდამ მე ბალიადას არ ჩამოახსენებენ, მ. ბარნაბიშვილის სიტყვით, ვდევნი, ხრიკებს ვუგდებ, კარგი და პატიოსანი, ვიკისრე მე ეს მისი მხილება. მაგრამ ნუ თუ სხვის გამამტყუნებელი სხადიოდეს უნდა თითონვე იმასა, რასაც სხვას უკიჟინებს? აბა როგორც ვითომდა ჩემ მიერ დევნილ ზოგიერთი მღვდელთა არა-მკითხე მოსარჩლედ გამოდის საჯაროდ მ. ბარნაბიშვილი, თითქო ისინი იყვნენ უენონი და უხერხულნი, აგრეთვე ვითომდა პატრონ-მფარველია მ. გ. ღვინიევისა. ეჭვს გარეშეა, რომ ღვინიევის ხსენებით მ. ბარნაბიშვილი ან ცდილობს დაჭფაროს და ანუ დაჩრდილოს მაინცა რამდენიმე თავისი ქცევა-მოქმედებანი, როგორც მაგალითად: ის, თუ რისთვის იყო გადაყვანილი ს. მატანიდან სამის დღის წინ; ან თუ კიდევ რამდენია მისის მოწყალებით გადაკარგული უცხო ქვეყნებში და სხ.

და 6. მ. ბარნაბიშვილი მამხელს მე იმასაცა, რომ ვიცავ ჩემის ეკკლესიის ინტერესს, ე. ი. ვცდილობ, რომ ჩემმა ეკკლესიამ შემოსავლის-დაგვარად გაიღოს ფული თელავის სასულიერო სასწავლებლის შესანახად და, რომ მთელი დღე ეკკლესიის კარები ღია მაქვს, რათა მსურველნი შედიოდნენ, ლოცულობდნენ და სანთელს ყიდულობდნენ. ამ ბრალდებას ვიღებ მე ჩემ თავზე,—ეს მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია. ხოლო თელავის სკოლის შესანახ ფულების განაწილებას კი ვრაცხ მე, ჩემის ფიქრით, საუმჯობესოდ და სამართლიანად იმ წესით, რომ სამღვდელო დეპუტატთ თელავში კრებაზედ მსჯელობას დროს საჭირო ფული გაანაწილონ ხოლმე საბლალოჩინო ოლქებზედ და უკანასკნელთ კი თავიანთ შორის საბლალოჩინო კრებებზე.—ნუ თუ შესაძლოთ მიაჩნია მ. ბარნაბიშვილს, ეკითხებოდე მლოცავსა,—აქ დაანთებ ნასყიდს სანთელს, თუ თან წაიღებს? ყოფილა იმისთანა შემთხვევებიც, რომ შეკითხვის დროს სოფლელს უპასუხნია: „შე დალოცვილო, ჩვენი ეკლესიები თვის-თვეობამდის დაკეტილია ხოლმე, სად იპოვი მღვდელსა და დიაკვანს, ანუ სტაროსტს და მნათესაო", მერე და ჩემი ეკკლესიის კარებიც რომ აღარ გავაღო და სოფლელთაც სანთელი აღარ მივყიდო, ხოლო ეს უკანასკნელნი გაეშურნენ ამისათვის სომეხთა სანთლის საწყობში, უკეთესი იქნებოდა?—ეს უთუოთ მ. ბარნაბიშვილის ლოღიკით...

უეჭველია მ. ბარნაბიშვილი არ მოიშლის თავისას, კვლავ შესთხზავს რამეს უცნაურს ჩემს შესახებ და დააბეჭდვინებს სადმე გაზეთში,—მაგრამ არხეინად ბრძანდებოდეს, მე იმას სრულიად აღარ შევაწუხებ ჩემის პასუხით.

სიღნაღის დეკანოზი **ხვიმონ ბეგიევი.**


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—156

**იყიდება**

საბაკალეინო

**სავაჭრო**

ყოველგვარ მოწყობილობით და საქონლით. პუშკინის ქ. № 25, სახლი კუკუჯიანცისა. მიმართეთ თევდორე გიორგის ძე კალაშიდის.

(1—369—1)

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**ს. კარდენახი**

ვაუწყებ ღვინის მოვაჭრეებს, რომ სოფელ კარდენახში მაქვს ბოჭკის ქარხანა, საკმაოდ ბევრი ბოჭკა და მასალა მაქვს დამზადებული. აგრეთვე ქარხანასთან მაქვს ბოჭკის ორთქლით სარეცხი განყოფილება, ვისაც სურს გამოგზავნოს ბოჭკები შესანახად, გასარეცხად თუ შესაკეთებლად. წელს ღვინის მოსავალს უკეთესი პირი უჩანს და იმედია ბოჭკები ბევრი დასჭირდებათ.

ჩემი ადრესი: სოფელი კარდენახი, სახლი თავად აფხაზისა, ესტატე სეხნიაშვილი და ამხ. (2—367—1)